კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი

თამთა კოდუა

ირანის სახელმწიფო წყობილების თავისებურება და მისი გავლენა ახლო აღმოსავლეთის რეგიონის უსაფრთხოებაზე

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მაია კაპანაძე,

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2021

ანოტაცია

ირანი შიიტური ისლამური სახელმწიფოა. მისი სახელმწიფო წყობილება განსხვავდება სხვა ისლამური ქვეყნებისაგან . რეგიონში არსებობს რამოდენიმე სუნიტური ისლამური ქვეყანა. ირანი კი ერთადერთი შიიტური ისლამური სახელმწიფოა, როგორც რეგიონში ისე მთელ მსოფლიოში.

ირანის სახელმწიფო წყობილებასპეციფიკურია, იმ მხრივ , რომ ხელისუფლების სათავეში შიიტური სამღვდელოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა-რაჰბარია, რომელიც განსაზღვრავს , როგორც ქვეყნის საშინაო ისე ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ კურსს. მსგავსი სახელმწიფო წყობა არ ახასიათებს სუნიტურ ისლამურ ქვეყნებს. იმის გამო , რომ ირანი განსხვავებული ტიპის სახელმწიფო წყობილებით გამოირჩევა , მას აქედან გამომდინარე სერიოზული პრობლემები აქვს რეგიონის ქვეყნებთან მიმართებაში. გარდა რეგიონის ქვეყნებისა , ირანის სახელმწიფო წყობილება დანარჩენელი მსოფლიოსათვისაც მიუღებელია. განსხვავებული სახელმწიფო წყობილებიდან გამომდინარე ირანი რეგიონის უსაფრთხოებისათვის ხშირად პრობლემას ქმნის . ამიტომაცაა , რომ როგორც ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ისე დანარჩენ მსოფლიოშიდაც არის იმის სურვილი, რომ შეიცვალოს ირანის სახელმწიფო წყობილება, ხელისუფლებისაგან ჩამოაშორონ შიიტური სამღვდელოება.

შიიტური ირანის ისლამური რესპუბლიკა აქტიურად ერევა ახლო აღმოსავლეთის რეგიონის პრობლემებში . ის ცდილობს თავის გარშემო რაც შეიძლება მეტი შიიტი მოსახლეობით დასახლებული ქვეყნები შემოიკრიბოს, რათა მისი პოზიციები გაიმყაროს ამ რეგიონში.

Annotation

Peculiarities of the Iranian state system and its impact on the security of the Middle East region

Iran is a Shiite Islamic State. Its state structure is different from other Islamic countries. There are several Sunni Islamic countries in the region. Iran is the only Shiite Islamic State in the region and in the world.

The Iranian state system is specific in that it is headed by one of the most important figures of the Shiite clergy, who determines the domestic and foreign policy course of the country. A similar state structure does not characterize Sunni Islamic countries. Due to the fact that Iran has a different type of state system, it therefore has serious problems with the countries of the region. Apart from the countries of the region, the state system of Iran is also unacceptable to the rest of the world. Due to different state structures, Iran often poses a problem for the security of the region. That is why there is a desire in the Middle East region as well as in the rest of the world to change the state system of Iran, to remove the Shiite clergy from power.

The Islamic Republic of Shiite Iran is actively interfering in the problems of the Middle East region. He is trying to gather as many Shiite countries around him as possible to consolidate his positions in the region.

Tamta Kodua

სარჩევი

ანოტაცია ……..……..2

Annotation……..…….....3

შესავალი......5

თავი I.პოლიტიკური ხელისუფლების საკითხი შიიტურ ისლამში.....10

1.1 ალის პარტია და შიიზმის საფუძვლების ჩამოყალიბება……....10

1.2 იმამიტური დოგმატიკის ჩამოყალიბება……18

1.3 შიიზმი ირანში და მონარქიზმის ირანული იდეა…….21

თავი II.შიიტური სამღვდელოების გააქტიურება ირანში და მათი როლი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე…….25

2.1ირანის ნახევრად კოლონიური სახელმწიფო და სამღვდელოების დაპირისპირება ხელისუფლებასთან „თამბაქოს ბუნტი“…….....…….25

2.2 კონტიტუციური მონარქიები ირანში და შიიტური სამღვდელოება ქვეყნის პოლიტიკურ ასპარეზზე……..……....34

2.3 რელიგიური ოპოზიციის გააქტიურება და ისლამური რევულუცია…..…….47

თავი III. ირანის ისლამური რესპუბლიკის რთული განვითარება და პრობლემები საგარეო პოლიტიკაში……..……57

3.1 ისლამური რეჟიმის კონსოლიდაცია ირანში , რეგიონული და რეგიონს გარეთა საგარეო პოლიტიკური გამოწვევები ქვეყნის წინაშე……..…...……57

3.2 შაჰის დროინდელ ბირთვულ პროგრამაზე მუშაობის განახლება და მისი ასახვა ირანის ისლამური რესპუბლიკის პრობლემებზე…….……60

3.3ირანის ისლამური რეჟიმი ახალი გამოწვევების წინაშე , რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ფონზე…….…..…….63

დასკვნა…….……..……75

ბიბლიოგრაფია ……..……..77

შესავალი

თემის აქტუალობა-ირანი სახელმწიფო წყობილების სპეციფიკიდან გამომდინარე რეგიონის სახელმწიფოებს შორის ის განსხვავებული სახელმწიფოა. ისლამური რევულუციის შემდეგ ირანი ცდილობდა ანალოგიური ტიპის სახელმწიფოების შექმნისთვის ხელი შეეწყო, ჯერ შიიტი მოსახლეობის უმრავლესობის მქონე ქვეყნებში შემდეგ კი რეგიონის დანარჩენ ქვეყნებშიც. თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე , ირანი არის შიიტური ისლამური სახელმწიფო , ამიტომ არის რომ ის სერიოზულ გავლენას ახდენს რეგიონის უსაფრთხოებაზე. ირანი ცდილობს თავისი გავლენა პირველ რიგში მოიპოვოს იმ ქვეყნებზე, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა შიიტია და ასევე შიიტებით დასახლებულ სუნიტურ ქვეყნებზეც.

იქიდან გამომდინარე , რომ ირანი განსხვავებული ტიპის სახელმწიფო წყობილებით გამოირჩევა , ასევე ის ცდილობს გარკეული როლი შეასრულოს რეგიონის უსაფრთხოებაში მაგრამ შიიტურ სახელმწიფოს სერიოზული პრობლემები აქვს , როგორც რეგიონის შიგნით,ასევე რეგიონის გარეთ, რადგანაც ის ნახევრად თეოკრატიული ქვეყანაა“, ამიტომ მსგავსი სახელმწიფო წყობილება მიუღებელია დანარჩენი ქვეყნებისათვის. ყოველივე ეს მას სერიოზული გამოწვევების წინაშე აყენებს და აქედან გამომდინარე ეს თემა საკმაოდ აქტუალურია .

თემის მიზნები და ამოცანები ჩვენი თემის **მიზანია** შევისწავლო, ირანის სახელმწიფო წყობილების თავისებურება და გამოვყოთ, ის განსხვავება , რაც შიიტურ და სუნიტურ სახელმწიფოთა წყობილებისთვის არის დამახასიათებელი.

საკვლევი თემის ამოცანები :ჩვენი **ამოცანაა** ირანის , როგორც ისლამური შიიტური სახელმწიფოს როლის წამოწევა რეგიონის უსაფრთხოების მხრივ და

ასევე იმ პრობლემებისხაზ გასმა , რაც ირანს თავის სახელმწიფო წყობილებიდან გამომდინარე ექმნება სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში.

საკვლევი კითხვები

- რით განსხვავდება შიიტური ირანის ისლამური რესპუბლიკის სახელმწიფო წყობილება დანარჩენი სუნიტური ისლამური ქვეყნების სახელმწიფო წყობილებისგან?
- რა პრობლემას ქმნის ირანის შიიტური ისლამური რეჟიმი რეგიონში?
- რა გამოწვევების წინაშე დგას ამ ქვეყნის სახელმწიფო წყობილებიდან გამომდინარე საკუთრივ ირანი და რეგიონის დანარჩენი ქვეყნები?

ჰიპოთეზა- ირანის ისლამური რესპუბლიკა თავისი სახელმწიფო წყობილების განსხვავებულობის გამო მიუღებელია ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ქვეყნებისათვის , აქედან გამომდინარე , ის სერიოზულ პრობლემას ქმნის რეგიონის უსაფრთხოებისათვის. ამის მიზეზი ის არის , რომ ირანი ცდილობს თავისი გავლენის ქვეშ მოაქციოს ახლო აღმოსავლეთის , ის ქვეყნები , სადაც შიიტი მოსახლეობაა .

კვლევის საგანი და ობიექტი- კვლევის საგანი–შიიტური ისლამური სახელმწიფოს წყობილების სპეციფიკის კვლევა , ასევე ის განსხვავებული თვისება , რაც დამახასიათებელია შიიტურ და სუნიტურ ისლამურ სახელმწიფოებს შორის, ასევე ის წინააღმდეგობები, რაც დამახასიათებელია ირანის სახელმწიფო წყობილებიდან გამომდინარე რეგიონისთვის.

კვლევის ობიექტი– ირანის სახელმწიფო წყობილება , შიიტური და სუნიტური ისლამისთვის დამახასიათებელი ნიშან–თვისება . „ველაიეთე–ჰაყიჰი“ და მისი მნიშვნელობა შიიტური სახელმწიფოსთვის.

ობიექტი– რეგიონული უსაფრთხოება .

თემის დამუშავების დროს გამოყენებული მეთოდოლოგია

თემის დამუშავებისას გამოვიყენე :

- **ძალთა ბალანსის თეორია**- გამომდინარეობს ანარქიული სტრუქტურის სისტემიდან და უკავშირდება პოლიტიკური რეალიზმის თეორიასთან.
- **პოლიტიკური პრაგმატიზმის -** („prisoner's dilemma")-მისი ძირითადი სუბიექტი სახელმწიფოა.
- **სექურითიზაციის თეორია-** დაკავშირებულია კოპენჰაგენის სკოლას, ოლი ვივერისა .
- **თანამშრომლობითი უსაფრთხოების თეორია-** წარმოადგენს კოენისეულ კონცეფციას, ის მოიცავს სახელმწიფოების მხრიდან საერთო საფრთხეების აღიარებას და მასზე ერთობლივ ძალისხმევას.
  - **კვლევის მეთოდები**

ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენე თვისებრივი კვლევის მეთოდები , როგორებიცაა:

- ✓ ინტერდისციპლინარული;
- ✓ ისტორიური-აღწერილობითი;
- ✓ ნარატიული;
- ✓ კონტენტ-ანალიზი.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

ჩემს მიერ მოპოვებული მასალების საფუძველზე შეძლებისდაგვარად შევქმენი აკადემიური ხასიათის ნაშრომი, რომელიც აკმაყოფილებს სამაგისტრო თემისმოთხოვნებს.

ჩემს მიერ შესრულებული სამაგისტრო ნაშრომი გამოადგებათ როგორც ირანის , აისე ახლო აღმოსავლეთის რეგიონის პრობლემებით დაინტერებულ როგორც სტუდენტებსასევე მკვლევრებსაც.

შესაძლებელია ეს ნაშრომი გამოყენებულ იქნას უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებშიც.

კვლევის შედეგების განხილვა

ნაშრომზე მუშაობისას ბევრი საინტერესო საკითხი გამოიკვეთა. სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობისა და გაანალიზების შედეგად, ნათლად გამოჩნდა, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკა თავისი განსხვავებული სახელმწიფო წყობილებიდან გამომდინარე ცდილობს, რაც შეიძლება მეტი მოკავშირე შემოიკრიბოს გარშემო და ასე განიმტკიცოს თავისი პოზიციები . ამას მეტ-ნაკლებად ახერხებს კიდეც. აღნიშნულმა სახელმწიფო წყობილება, ორმოც წელს გაუძლო. რამდენად მდგრადი იქნება შიიტური ისლამური ირანის სახელმწიფო წყობილება შემდეგომ ამის პროგნოზირება ძნელია . ნებისმიერი სისტემა განიცდის სისტემა . მათ შორისაა ირანის ისლამური სახელმწიფო წყობილებაც. ფაქტია ,რომ ქვეყნის პირველი პირი რაჰბარი(ხამენეი) , აღარ არის ისეთი „ძლევამოსილი“ როგორიც იყო პირველი რაჰბარი(ხომეინი).აღსანიშნავია , რომ ირანი თავის სახელმწიფო წყობილებიდან გამომდინარე, რეგიონის უსაფრთხოებაზე გარკვეულ გავლენას ახდენს .

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

ირანში შიიზმის გავრცელება და ამ ქვეყნის სახელმწიფო წყობილება საკმაოდ სიღრმისეულად აქვს განხილული **გ.სანიკიძეს თავის ნაშრომში“ შიიზმი და სახელმწიფო ირანში“ თბ. 2005.** ამ მონოგრაფიამ სერიოზული დახმარება გამიწია ჩემ სამაგისტრო თემაზე მუშაობისას.

ირანის სახელმწიფო წყობილება უძველესი დროიდან ისლამური რევულუციის ჩათვლით შესწავლილი აქვს **გ.ჭიპაშვილს** თავის მონოგრაფიაში **„ირანის სახელმწიფო წყობილება“ , თბილისი 1989** . ამ წიგნში ჩემთვის მნიშვნელოვანი საკითხები სპარსულ წყაროებზე დაყრდნობითაა შესწავლილი.

ირანში ისლამური რევულუციის მომწიფების მიზეზები , რამაც სათავე დაუდო ამ ქვეყნის თანამედროვე სახელმწიფო წყობილებას , სხვადასხვა ენებზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გაანალიზების შედეგად წარმოდგენილი აქვს **ო.კიკნაძეს** თავის მონოგრაფიაში **ირანი, თბილისი 1979.**

Mabon Simon-ის ნაშრომი **"The battle for bahrain:iranian-saudi rivalry ".** დამეხმარა ირანის რეგიონული პოლიტიკის უკეთ გასაშუქებლად , კონკრეტულად კი საუდის არაბეთთან მიმართებაში.

Vidno Lorenzo-ს., სტატიაში **How real is the threat of returning IS fighters? BBC, October 23,2017**, საკმაოდ კარგადაა გასუქებული ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვანი ასპექტები , ის ჩემთვის იმ მხრივაა საინტერესო , რომ ამ ნაშრომში „დაიშის" წინააღმდეგ, ირანის როლიც საკმაოდ კარგადაა წარმოჩენილი .

გარდა ამისა, სამაგისტროზე მუშაობისას გამოყენებული, როგორც ქართულ ისე სხვა ენებზე ჩემ თემასთან მიმართებაში არსებული სხვადასხვა მონოგრაფიები, სტატიდები და ინტერნეტ წყაროები.

თავი I. პოლიტიკური ხელისუფლების საკითხი შიიტურ ისლამში

1.1 ალის პარტია და შიიზმის საფუძვლების ჩამოყალიბება

ისლამმა მჭიდროდ დაუკავშირა ერთმანეთს თეოლოგიური და პოლიტიკური პრობლემები.ისლამის ამგვარი განსაკუთრებულობა მისი შექმნის პირობებით არის გამოწვეული.VII ს-ის დასაწყისში მუჰამადის მიერ შექმენილი მცირე სექტა , არსებული ვითარების გამო პრაქტიკულად იძულებული გახდა პოლიტიკურ ორგანიზმად ჩამოყალიბებულიყო და სწორედ რელიგიის პოლიტიკასთან შეკავშირებამ, თეორიულად სახელმწიფო ხელისუფლების დაფუძნებამ საერო და სასულიერო სფეოების განუყოფლობის იდეაზე, განაპირობა ისლამური სამყაროს სპეციგიკურობა.ისლამში მორწმუნეთა თემი იმავდროულად იყო პოლიტიკური სტრუქტურა, სახელმწიფო. მუსლიმად გახდომით, ,მორწმუნე ამასთანავე ხდებოდა არა მხოლოდ რელიგიის „დინ“ ამღიარებელი, არამედ პოლიტიკური ხასიათის ორგანიზაციის „დაულა“ წევრიც.[1]

ისლამი გახდა „სახელმწიფოს არსებობის მიზეზი“, თემის ერთიანობის პრინციპი,რომელიც ერთდროულად ინარჩუნებს და ამართლებს სახელმწიფოს არსებობის განგრძობადობას.ლ.მასინიონი ადრეულ ისლამს განსაზღვრავს , როგორც „ეგალიტარულ ლაიცისტურ თეოკრატიას , ზუსტად გამოხატავს პირვანდელ ისლამურ თემში თანასწორობის პრინციპზე დამყარებულ საერო და სასულიერო სფეროების ერთიანობას .

ახალგაზრდა მუსლიმური თემის უზენაესი წინამძღოლი ერთდროულად იყო იდეოლოგიური მოძღვარი , რომელიც განსაზღვრავდა მორწმუნეთა რელიგიურ მოვალეობებს, აყალიბებდა წესებსა და დოგმებ ს ღვთაებრივი ზეშთაგონების საფუძველზე და ასევე პოლიტიკური ხელმძღვანელი, რომელიც იღებდა საშინაო და საგარეო პრობლემებთან დაკავშირებულ აუცილებელ

[1] M Rodinson, L I’slam politique et croyance,p 33-35

გადაწყვეტილებებს.ისლამი გახდა ერთდროულად დოგმა და პრაქტიკა, კრედო და ქმედება . მუჰამადი საკუთარ თავში აერთიანებდა საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას . ეს იდეოლოგიურ-პოლიტიკური იდეალი შემორჩა დღემდე .თეორიულად არ არსებობს დაპირისპირება საღვთო კანონსა და სახელმწიფო კანონს შორის, ვინაიდან ისლამი იცნობს მხოლოდ ერთ კანონს-ღმერთის მიერ გამოცხადებულ შარი'ათს, რომელიც მოიცავს :პოლიტიკურ, სოციალურ , ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებას ,რელიგია განსაზღვრავს თითოეული ამ სფეროს ნებისმიერ ასპექტს.

მუსლიმური თემებისათვის ხელისუფლების საკითხი თეორიულად არ წარმოადგენდა დავის საგანს . „უზენაესი ხელისუფლება ისლამში ეკუთვნის არა ცალკეულ ადამიანს , არა პარტიას, არა ხალხს, არამედ ალაჰს“. ამქვეყნიური ხელისუფლება კი ერთდროულად იყო ალაჰის ბოძებული საჩუქარი და ამასთანავე ღმერთის მიერ ადამიანებისათვის დაკისრებული მოვალეობა . ამქვეყნიური ხელისუფლების ამოცანა საკმაოდ შეზღუდული იყო:ხელისუფლების მატარებელს თვალყური უნდა ედევნებინა იმისათვის , რომ თემის წევრებს ეცხოვრათ საღვთო კანონის მიხედვით, რომელიც გადმოცემული იყო ყურანსა და ჰადისებში.

ადრეული ისლამის პოლიტიკური მხარის შესწავლისათვის, ბუნებრივია , აუცილებელია ყურანის გათვალისწინება. „ყურანის პოლიტიკური კონცეფცია არ არის ორაზროვანი. იგი კონფრონტაციის, ანდა მანიქევლობის პრინციპზეა დაფუძნებული, ეს არის დაპირისპირება , შეიარაღებული კონფრონტაცია მცდართან. იგი ამასთანავე უკიდურესად მონოთეისტური და თეოცენტრულია. „ყურანის პოლიტიკური იდიომა თავისთავად იდეოლოგიურია.

პირველ ხალიფათა დროს უზენაესი სახელმწიფო ხელისუფლება გარეგნულად კვლავ ინარჩუნებდა თეოკრატიულ ხასიათს , იმდენად , რომ სახელმწიფო ქონება „საღვთოდ“ იწოდებოდა.[2]

[2] E.Sivan , Interpretations of Islam, Past an Present , p 110

თავდაპირველი ისტორიული პოლიტიკური განვითარება და დამოკიდებულება პოლიტიკური ხელისუფლებისადმი შემდეგი სახით შეიძლება განისაზღვროს: 1)ყურანი არ იძლევა მკაფიო მითითებას ისლამური სახელმწიფოს ფორმისა და მემკვიდრეობის საკითხზე. 2) მოციქულს არ ამოურჩევია მემკვიდრე და არც სახელმწიფოებრივი მოწყობის რაიმე კონკრეტული ფორმისათვის მიუნიჭებია უპირატესობა. მისი მთავარი მემკვიდრეობა იყო მუსლიმების მიერ ისლამის მოძღვრების დაცვის მოვალეობა . 3) გამოიკვეთა მემკვიდრეობის სამი სახეობა: ა) შეზღუდული არჩევანი(აბუ ბაქრი); ბ) ხალიფას მიერ მემკვიდრის დასახელება (უმარი);გ) შურა, იგივე საბჭოს მიერ ხალიფას არჩევა (უსმანი და ალი).4) მემკვიდრეობის საკითხი გადაიზარდა უმძაფრეს პოლიტიკურ კონფლიქტში, რასაც მოჰყვა რელიგიური განყოფა ისლამში (სუნიზმი და შიიზმი) 5)ისლამური სახალიფოს ისტორიიდან, მისი დაარსებიდან ოფიციალურ გაუქმებამდე 1924 წელს, მკაფიო ჩანს, რომ არცერთი ხალიფა არ ყოფილა არჩეული მთელი მუსლიმური თემის მიერ. ხალიფა, პოლიტიკური მიზნებიდან და მიზეზებიდან გამომდინარე, აირჩეოდა პოლიტიკური ელიტის მიერ ძირითადად მემკვიდრეობის პრინციპის საფუძველზე. ისლამური სამყაროს ისტორიისათვის კი განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა „უმმას პირველსაწყისმა იდეალმა , სოციოპოლიტიკური და რელიგიური სფეროების სრულმა ერთიანობამ. თუმცა იცი , პირველი ხალიფებისა და ადრეული აბასიანების სუვერენების მცდელობის მიუხედავად, სამუდამო განუხორციელებელ იდეალად დარჩა.

მუჰამადის მემკვიდრეობის საკითხმა ,მუსლიმური თემის პოლიტიკური და რელიგიური ხელმძღვანელობის პრობლემამ , პრაქტიკულად მუჰამადის სიკვდილისთანავე გაამწვავა ურთიერთობა თემის შიგნით და სულ მალე ისლამის ორ ძირითად მიმართულებად-სუნიზმად და შიიზმად განყოფა გამოიწვია. შიიზმი წარმოიშვა ხალიფა უსმანის მემკვიდრეობისათვის, პოლიკური ძალაუფლებისათვის ბრძოლაში. პირველმა შიიტებმა შეადგინეს ‘ალის მომხრეების , „ალის პარტია“ (ში’ათ ალი). ამდენად , თავდაპირველად შიიზმი სწორედ პოლიტიკური ხასიათის მოძრაობა იყო , რომელსაც წარმოადგენდნენ ერთი გარკვეული კანდიდატის არჩევის მომხრენი და კონკრეტული ოჯახის

დინასტიის ლეგიტიმურობის ამღიარებელნი, მაგრამ „ისეთ პოლიტიზებულ რელიგიაში, როგორიც ისლამია და ისეთ რელიგიურ ადმინისტრაციაში, როგორიც იყო თავდაპირველი სახალიფო , პოლიტიკური პარტია ადვილად და სწრაფად ხდებოდა რელიგიური. აქედან გამომდინარე , შიიზმი თავიდანვე იყო როგორც პოლიტიკური , ისე რელიგიური ფენომენი.[3]

ალი მუჰამადს მას შემდეგ ედგა გვერდში , რაც ეს უკანასკნელი დაობლდა. შიიტური ტრადიციით, მან , ისლამის მოციქულის პირველი მეუღლის , ხადიჯას შემდეგ , პირველმა იწამა მუჰამადის მისია და გახდა მუსლიმი(სუნიტური ტრადიციით -ხადიჯასა და აბუ ბაქრის შემდეგ. ალი მუჰამადს გაჰყვა მედინაში , იყო მისი სიძემ, თავი გამოიჩინა კერპთაყვანისმცემელ მექელებთან ბრძოლაში და დიდი როლი შეასრულა არაბთა გამუსლიმებბის საქმეში. შიიტები თვლიან , რომ ღადირ ხუმთან , „გამოსათხოვარი ჰაჯის“ დროს , 632 წლის 16 მარტს მუჰამადმა ხელი ჩაკიდა ‘ალის პილიგრიმების წინაშე და განაცხადა: ყველასათვის , ვისთვისაც მე მბრძანებელი ვარ , ‘ალიც ასევე მბრძანებელია“. ეს აქტი ალის ყველამ , მათ შორის უმარმაც , მიულოცა და მას უწოდეს მორწმუნეთა წინამძღოლი „ამირ ალმუ’მინინ“, რაც ზოგადად ხალიფების ტიტულს წარმოადგენს. სუნიტი ავტორები მიიჩნევენ , რომ მუჰამადმა ‘ალის უწოდა მორწმუნეების მაულა და ამ ტერმინს „მეგობრის“ მნიშვნელობით თარგმნიან. შიიტური თვალსაზრისით, თუკი მხოლოდ მეგობრად თვლიდნენ, მაშინ გაუგებარია რატომ მიულოცა ყველამ ღადირ ყუმთან ალის მუჰამადის მემკვიდრედ არჩევა. მაულა შიიტთათვის უპირველესად ბატონს ნიშნავს .

შიიტთათვის ალის მმართველობის ხანმოკლე პერიოდი მუსლიმური მმართველობის ერთადერთი ლეგიტიმური ხანა იყო მუჰამადის შემდეგ. ალის ტრაგიკულმა აღსასრულმა კი (661), მათი რელიგიურ-პოლიტიკური მრწამსით, ამქვეყნად უსამართლობის , ტირანიის გაბატონება მოიტანა . სუნიზმთან შიიზმის გამიჯვნა პოლიტიკური მიზეზით სახალიფოს მეთაურობასთან დაკავშირებული უთანხმოების გამო ხდება . შიიზმი გაცილებით უფრო გვიან ყალიბდება

[3] კიკნაძე ო. ირანი, გამომცემლობა “მეცნიერება“ 1979, გვ.80-90.

რელიგიურ დოქტრინად , თუმცა ამ დოქტრინის საფუძველი სწორედ ალი და მისი საგვარეულოს შელახული უფლებებია.

ტერმინი ში'ა ყურანში ოთხჯერ არის ნახსენები , მათგან ორჯერ „მხარდამჭერის , მომხრის , მის პარტიაში მყოფის" მნიშვნელობით. მრავლობითი ფორმით შ'ია ნიშნავს მიმდევრებს , მხარდამჭერებს , ადამიანთა ჯგუფს , რომელიც ერთსულოვნებას ამჟღავნებს გარკვეულ გადაწყვეტილებასთან ან სარწმუნოებასთან დაკავშირებით, რომელსაც ისინი იცავენ და მხარს უჭერენ. ეს სიტყვა არჩეულ იქნა სარწმუნოების წინამძღოლის „ალის" მომხრეების აღსანიშნავად, რადგანაც ისინი მისდევდნენ და აღიარებდნენ მის იმამათს მოციქულის შემდეგ და არ მისდევდნენ და არ აღიარებდნენ მის წინამორბედებს , რომლებიც ხალიფების ფუნქციებს ასრულებდნენ .

რაც შეეხება ტერმინ იმამათს , რომელმაც შემდგომ უმნიშვნელოვანესი როლი შეიძინა შიიზმში, იგი წარმოდგება არაბული ზმნიდან ამმა-„წინდგომა", „რაიმეს წინამძღოლობა". ჯერ კიდევ ისლამამდელ არაბეთში იმამს უწოდებდნენ ადამიანს , რომელიც „წინი იდგა" ანდა ვინც „რაიმეს საქმეს ხელმძღვანელობდა". ისლამის გაბატონებასთან ერთად ამ ტერმინმა უფრო კონკრეტული მნიშვნელობა შეიძინა „ლოცვის დროს წინმდგომი , „სულიერი მეთაური" სწორედ ამ მნიშვნელობით გამოიყენება იგი ყურანში.თავდაპირველად ამ ფუნქციას ასრულებდა მუჰამადი, რომელიც იმავდროულად თემის პოლიტიკური მეთაური იყო.[4]

ყურანსა და ჰადისებში იმამათი უზენაესი ხელისუფლების მნიშვნელობით არ გამოიყენება . ალის სიკვდილის შემდეგ შიიტური თემის ოფიციალური მეთაური გახდა მისი უფროსი ვაჟი ჰასანი. ეს უკანასკნელი პოლიტიკურად პასიური იყო და პრაქტიკულად არაფერი გაუკეთებია უმაიანთა წინააღმდეგ. შიიტური ტრადიციით ჰასანი , ისევ როგორც ყველა დანარჩენი შიიტი იმამი, უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლას შეეწირა და ტირანიის მსხვერპლი გახდა. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შიიზმის ისტორიაში ჰასანის

[4] Edmund Bosworth"Iran and Islam"p.35-40.

უმცროსმა ძმამ ჰუსაინმა. ქუფელმა შიიტებმა ჰუსაინი , როგორც ალის საგვარეულოს მეთაური, მიიწვიეს ქუფაში აჯანყების ხელმძღვანელობისათვის.ჰიჯრის 61წ.10 მუჰარამს/680წ.10 ოქტომბერს, ხალიფა იაზიდის ჯართან უთანასწორო შეტაკებაში, ჰუსაინი და მისი თანამებრძოლები დაიღუპნენ, ამ ფაქტმა უდიდესი როლი შეასრულა შიიტური მრწამსის ჩამოყალიბებაში. ქერბალას ბრძოლამ , შეუდარებელი ისტორიული რეზონანსი გამოიწვია . ქერბალას ტრაგედია შიიზმის „ფუძემდებლური მითი გახდა“, შემდგომში შიიზმში ჩამოყალიბებული მოწამეობის კულტით შეიქმნა წარმოდგენა , რომ მოწამეობრივი სიკვდილი ყველაზე დიდი დამსახურება ღმერთის წინაშე.

ხალიფა იაზიდის (680-683) დროს , ძალიან მალე შიიზმი რელიგიური მოძრაობის სახეს იღებს .მიუხედავად იმისა , რომ ალის პირველი მიმდევრები არაბები იყვნენ , მრავალი მებრძოლი ალიდის რეკრუტირება ხდებოდა არაარაბი „კლიენტებიდან“, რომლებიც ცხოვრობდნენ იმპერიის ცენტრალურ ქალაქებში.ზემოთქმულიდან გამომდინარე , შიიტურ მოძრაობასი ირანელები უკვე ისლამის არსებობის პირველივე ათწლეულებიდან აბმევიან , თუმცა , ეს სულაც არ ნიშნავს , რომ შიიზმმა თავიდანვე მტკიცე საყრდენი მოიპოვა ირანში.

შიიზმის პოლიტიკურ-რელიგიურ მოძრაობად და იდეოლოგიად ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე მსჯელობისას შეიძლება ითქვას, რომ მასში იუდევლურ-ქრისტიანულ ტრადიციიდან შევიდა მოციქულის ცნება , რომელიც ამბოხს უსამართლო მმართველს და მესიის რწმენა , რომელიც საღვთო წესრიგს დაამყარებს ამქვეყნად. ორივე უფრო პოლიტიკური , ვიდრე რელიგიური ცნებაა.ბერძნულ-რომაულმა სამყარომ მნიშვნელოვანი მემკვიდრეობა დაუტოვა ისლამს , განსაკუთრებით ტირანიის თეორიისა და პრაქტიკის თვალსაზრისით.წინაისლამური სპარსეთიდან გადმოვიდა მახსოვრობა რელიგიური ფორმით დაპირისპირებისა ხელისუფლებასთან, რევოლუციური მოძრაობებისა, რომელიც ერთდროულად ცვლიდნენ არსებული წესრიგის პოლიტიკურ , მორალურ და სოციალურ საფუძველს და რომელთაც

„იდეოლოგიის სახით რელიგიური დოქტრინა გააჩნდა და ინსტრუმენტის სახით რელიგიური სექტა.[5]

დღეისათვის შიიზმის კავშირი ირანთან იმდენად ძლიერია, რომ ერთზე ფიქრისას ავტომატურად მეორე წარმოდგიდგებათ.ამასთანავე , შიიზმი სულაც არ წარმოადგენს ისლამის ირანულ ვერსიას. იმამ რეზას ხანმოკლე პერიოდის გარდა, ყველა იმამი, რომლებიც არაბები იყვნენ , ცხოვრობდნენ და გარდაიცვალნენ არაბულ ტერიტორიებზე. ყველა ლოცვა და თეოლოგიური ტექსტი არაბულია და მთავარი რელიგიური ცენტრებიც ერაყშია , რომლებიც მოხილვის ადგილები და შიიტური განათლების მთავარი ცენტრები იყო XX ს-ის 20-იან წლებამდე და დღესაც ინარჩუნებენ მნიშვნელობას ამ თვალსაზრისით.

შიიზმი სწორედ არაბულ გარემოში იქმნება და არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ირანული მენტალიტეტის გამოვლინებად, როგორც ამგვარად დიდხანს ფიქრობდნენ. არც არიული ირანელობის შურისძიებაა ისლამისა და არაბების წინააღმდეგ. „შიიტური ფენომენის ფესვები ისეთივე არაბულია, როგორც საკუთრივ ისლამისა“. შიიზმის ირანული წარმომავლობის თეორია თავის დროზე პირველმა გერმანელმა ორიენტალისტმა ი.ველჰაუზენმა უარყო. თუმცა , აქვე გასათვალისწინებელია , რომ დამპყრობელთა რელიგიის ეგალიტარულმა სულისკვეთებამ და არჩევითი ხალიფობის უფრო დემოკრატიულმა კონცეფციამ ვერ ამოძირკვა ირანულ სივრცესი აბსოლუტური სპარსული მონარქიის ანტიკური ტრადიცია. პირიქითაც , დროთა განმავლობაში არაბმა ხალიფებმა თანდათაობით დაიწყეს სპარსელ მეფეთა იმიტირება , ყოველ შემთხვევაში სამეფო კარის ცერემონიებისა და ადმინისტრირების თვალსაზრისით მაინც.

აკად.ვ.ბარტოლდის აზრით, „შიიზმის დაახლოება ირანულობასთან უკვე ისლამის პირველ საუკუნეში მოხდა“, და „შიიზმი ოდითგანვე იყო ირანის ზოგიერთ რეგიონში მასების რელიგია: შიიზმის ლოზუნგებით წარიმართა მრავალი სახალხო მოძრაობა .ირანის შედარებით სწრაფი ისლამიზაციის პერიოდში , გაბატონებული რელიგიური მიმდინარეობა დიდი ხნის მანძილზე

[5] Persy Sykes, A History oF Persia, London 1930 ;p.50-55 .

,XVI ს-ის დასაწყისამდე , მაინც სუნიზმი იყო, თუმცა მის გვერდით ვრცელდებოდა შიიზმიც, მაგრამ არამხოლოდ იმამიტური მიმდინარეობის სახით, სეფიანთა იმამიტური სახელმწიფოს შექმნამდე ირანის ტერიტორიაზე არსებობდა ზაიდიტური და ისმაილიტური სახელმწიფოები.

ს.სტერნი წერს , სპარსელებს გააჩნდათ ძლიერი ისტორიული ტრადიცია , რომელიც აღვივებდა ირანის ისტორიული სიდიადის გრძნობას, მითიური დროებიდან სასანიანთა პერიოდის ჩათვლით.ამგვარად, საერთო ისლამურ ცივილიზაციაში ჩართული სპარსელი ერი განაგრძობდა არსებობას.არაბთა მიერ დაკავებული სხვა პროვინციებისაგან განსხვავებით, სპარსეთი დაპყრობის დროს დამოუკიდებელი იყო. ყველა შემოსევის მიუხედავად მან შეძლო შეენარჩუნებინა საკუთარი რასა, ენა და სარწმუნოება .[6]

აქვე ერთ მნიშვნელოვან დეტალზე გავამახვილებთ ყურადღებას. ხშირად მიიჩენევა , რომ ზოგადად ისლამში და კონკრეტულ შემთხვევასი შიიზმში დინასტიური მემკვიდრეობითი პრინციპის დაკანონება ირანული გავლენის შედეგია. გერმანელი ორიენტალისტი გ. ფონ გრიუნებაუი მოციქულის ოჯახის მემკვიდრეობი პრინციპს შიიტების მიერ სპარსეთიდან ნასესხებ „მიამიტურ ლეგიტიმიზმად“ მიიჩნევს , რომელის თეოლოგიურ გამაგრებაზე ზრუნვა შიიტებმა შემდეგ დაიწყეს. შიიტებმა მოგვიანებით . შიიტებმა მოგვიანებით იმამს მიანიჭეს ზებუნებრივი უცოდველობა და ღმერთისაგან ბოძებული შეუმცდარობის უნარი. იმამის ესქატოლოგიური დაბრუნების იმედი მით უფრო ძლიერდებოდა, რაც უფრო მეტ დევნას განიცდიდნენ შიიტები.

რეალურად , მე-5 იმამის, მუჰამად ალ-ბაქირის დროს დაიწყო შიიზმის (იმამიზმის) დეპოლიტიზაცია, რამაც დასრულებული სახე მე-6 იმამის, ჯა-ფარ ას-სადიკის დროს მიიღო. ორთოდოქსული შიიზმი, რომლის გამოხატულებაც იმამიზმი გახდა, გადაიქცა „მშვიდობიან „ რელიგიურ მოძრაობად.შიიტური მრწამსიდან გამომდინარე , ყველა იმამი მოწამეობრივი სიკვდილით უნდა აღსრულებულიყო.

[6] B, Lewis, The Shi’a in Islamic History ,p. 60-65

1.2 იმამიტური დოგმატიკის ჩამოყალიბება

ადრეული შიიზმის გამოცალკევებულ რელიგიურ-პოლიტიკურ მიმდინარეობად ჩამოყალიბებისას გამოიკვეთა იმამათის თეორია. შიიტთათვის არ არსებობს მიზეზი საერო და სასულიერო ხელისუფლების გასამიჯნავად და de jure იმამი მიიჩნეოდა თემის უზენაეს პოლიტიკურ და რელიგიურ ლიდერად, მაგრამ de facto იმამათის კონცეფცია , შიიტთათვის სახალიფოსი არსებული არასახარბიელო სიტუაციის გამო , რადიკალურად დეპოლიტიზაცია იყო.

იმამი ითვლებოდა ღვთაებრივი ცოდნის, ‘ილმის მატარებლად, რაც მკვეთრად მიჯნავდა იმამის პასუხისმგებლობის სფეროებს პოლიტიკური მმართველობის ამოცანებისაგან და ანიჭებდა მას უზენაეს ავტორიტეტს.

იმამიტური ტრადიციით, კაცობრიობას არც ერთი წუთით არ შეუძლია ჰუჯას, ღმერთის სიტყვის განმმარტებლის გარეშე არსებობა .იმამიტები კაცობრიობის უცოდველი წინამძღოლები არიან , გააჩნიათ ღმერთის მიერ მინიჭებული უფლებები და ძალაუფლება .უკანასკნელი მოციქულის , მუჰამადის შემდეგ მისი ადგილი იმამებმა დაიკავეს . ვინაიდან იმამი განსაკუთრებულ როლს ასრულებს ღმერთთან ადამიანების დაკავშირებაში, იგი არ შეიძლება არჩეულ იქნას ადამიანების მიერ. იმამი უნდა იყოს სამართლიანი , ღმერთის სიტყვის მცოდნე , სრულყოფილი და ა.შ. შიიტები დარწმუნებულნი არიან იმ პრინციპის სისწორეში, რომლის თანახმადაც, „იმამის დანიშვნის უფლება გააჩნიათ მხოლოდ ღმერთს და ამ თვალსაზრისით ხალხი არავითარ როლს არ ასრულებს . მხოლოდ შემოქმედი ირჩევს იმამს .[7]

შიიტებისათვის ნებისმიერი რეჟიმი არალეგიტიმურია, თუკი მას სათავეში არ უდგას იმამი, მაგრამ გარკვეულ პირობებში შიიტისათვის დაშვებულად

[7] M.G.S. Hodgson, How did the early Shi’a Become sectarian? P.7-8.

ითვლება არალეგიტიმური მმართველის სამსახური. იმამათის დოქტრინიდან გამომდინარე , შიიტი თავისუფალი იყო არსებული ხელისუფლების ერთგულებისაგან , ვინაიდან მისთვის ერთადერთ ხელისუფალს „ხილული“ ან „ფარული“ წარმოადგენდა.

იმამიზმის მოძღვრების ჩამოყალიბების პროცესში განსაკუთრებული როლი შეასრულ იმამთა უწყვეტი რიგის დასრულებამ, იმამიტური მრწამსით XII იმამის „ფარულ მდგომარეობაში „ გადასვლამ , მისმა ოკულტირებამ. ოკულტაციის „ღაიბა“ და იმამ-მაჰდის „მესიის“ „დაბრუნების“ (ენთეზარ) თემას შიიზმში ჩამოყალიბებული სახე პირველად ქაისანიტებმა მიანიჭეს.

XII იმამი „ფარულია“ ღაიბ და საიდუმლო ადგილს აფარებს თავს . თუმცა, მას არ დაუტოვებია ქვეყნიერება , ვინაიდან, იმამიტური შეხედულებით, იმამის გარეშე ქვეყნიერება არსებობას შეწყვეტს. ლეგენდის თანახმად , იგი გაუჩინარდა სამარაში , მამამისის სარდაფში (სერჰაბ). XII უკანასკნელი უნდა ყოფილიყო და მისი არ ყოფნა ჩვეულებრივი ადამიანის სიცოცხლეზე მეტხანს შეიძლებოდა გაგრძელებულიყო. მისი გაქრობიდან 70 წლის შემდეგ ოკულტაცია უკვე საეჭვო გახდა წმინდა რაციონალური თვალსაზრისით და გაჩნდა მისი დოქტრინული ექსპოზიციის აუცილებლობა.

იმ მიზეზით, რომ იმამის „გაუჩინარება“ დაუსრულებლად გრძელდებოდა ,იმამის „ფარულ“ მდგომარეობაში ყოფნამ ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობამ გადააჭარბა , საჭირო გახდა მორწმუნეთათვის , რომლებიც სულ უფრო მეტ ეჭვს ამჟღავნებდნენ, გამონახულიყო შექმნილი სიტუაციის ლოგიკური ახსნა.XII იმამის „გაუჩინარების“ შემდეგ , 900 წ.ფარგლებში იძენს ჩამოყალიბებულ კონტურებს იმამიტთა თემის ორგანიზაცია .

შიიტთათვის იმამის ფარულ მდგომარეობაში გადასვლის შემდეგ პოლიტიკურმა ძალაუფლებამ ლეგიტიმურობის თვალსაზრისით, არსებობა შეწყვიტა. XII იმამის „გაუჩინარების“ შემდეგ შიიტურ ისლამში ბევრი ახალი , ტრადიციული ისლამისათვის უცხო ელემენტი შევიდა. იმამიტური მრწამსით, იმამის მოვლინების შემდეგ იგი საყოველთაო ბედნიერებას მოუტანს ყველა

შიიტს. რადგანაც იგი მანამდე სავსე იყო ჩაგვრითა და ტირანიით. ამ ტრადიციის თანახმად, XII იმამისა და მომავალი მაჰდის სახელი მუჰამადის.

რწმენა , რომ XII იმამი გაუჩინარდა 873-874 წ, მხოლოდ XI ს-ში დამკვიდრდა. სწორედ ამ პერიოდიდან იწოდებიან იმამიტები ისნა'აშარიტებადაც 12 იმამის ამღიარებლებად , ამ ხანებში მეტად მძაფრი კონფრონტაცია არსებობდა სხვადასხვა შიიტურ დაჯგუფებებს შორის. XII იმამის გაუჩინარებამ იდეოლოგიური კრიზისი გამოიწვია და საფრთხე შეუქმნა ზოგადად შიიზმის არსებობას . 941 წელს მეოთხე წარმომადგენლის გარდაცვალების შემდეგ დაიწყო დიდი „დაფარვის" ხანა , რომელიც დღემდე გრძელდება . სწორედ ამ პერიოდიდან საკითხი , თუ ვინ უნდა ითავოს იმამის ფუნქციების შესრულება მისი ოკულტაციის პერიოდში , იმამიზმში დაუსრულებელი პოლემიკის საგანი გახდა. [8]

ზოგადად პოლიტიკურ მოღვაწეობას , მიუხედავად გარკვეული რელიგიური კვიეტიზმისა , იმამიტები საკმაოდ აქტიურად მონაწილეობდნენ მუსლიმური სამყაროს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ისმაილიტებთან და სხვა შიიტურ მოძრაობებთან შედარებით სუნიტებთან ზომიერო დამოკიდებულების მიუხედავად , ისინი ანგარიშგასაწევ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენენ .

სამართლისმცოდნეობის თვალსაზრისით, იმამიტური შიიზმი ორი საუკუნით უფრო გვიან იწყებს განვითარებას, ვიდრე სუნიზმი და მთელ რიგ საკითხებსი უპირობოდ თვალდახუჭული მისდევს მას.მაგრამ მათ შორის ფუნდამენტური განსხვავება იყო ის , რომ სუნიტური სამართალი დამყარებულია მტკიცებაზე, რომლი თანახმადაც ისლამურმა გამოცხადებამ მოახდინა მხოლოდ მოდიფიცირება არსებული ჩვეულებითი სათემო სამართლისა.შიიტური სამართლის თანახმად კი , ისლამი წარმოადგენს სრულ გაწყვეტას კავშირისა წარსულთან და ეს არის სრულად ახალი საკანონმდებლო სისტემა .ხანგრძლივი პერიოდი დასჭირდა , რომ იმამიზმის საღვთისმეტყველო-სამართლებრივ სისტემას დასრულებული სახელი მიეღო.

[8] Arjomand, S.A "revolution" p. 68

ირანში შიიზმის უმთავრესი ბასტიონი იყო ყუმი.ქალაქი , რომელიც დაინგრა არაბთა შემოსევის დროს, ადგილობრივი ტრადიციის მიხედვით, ხელახლა იქნა დასახლებული აშა'რის ტომის მიწერ 711/712წ, რომელიც იძულებული იყო დაეტოვებინა ქუფა შიიტური აღმსარებლობის დევნის გამო. ყუმი ქუფას პრიმიტიული შიიტური თემის ერთი უჯრედი გახდა, რომელმაც დიდი ხნის მანძილზე შეინარჩუნა არაბული კოლონიის იერსახე. შიიტური იურისპრუდენცია ოთხ „ბურჯს" ეყრდნობოდა.ყურანი, ჰადისები , იჯმა(ულემთა შორის მიღწეული კონსენსუსი) და 'აკლი (გონება, განსჯა.

1.3 შიიზმი ირანში და მონარქიზმის ირანული იდეა

ექსტრემისტურ სეფიურ მაჰმადისტურ მოძრაობებს შორის ერთ-ერთმა, კერძოდ სეფიანთა გასამხედროებულმა სუფიურ ორდენმა, უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა შიიზმის ისტორიაში, ირანისა და იმამიზმის შეკავშირებაში. ის , რომ დღეს შიიზმი უპირველესად ირანთან ასოცირდება , პირველ რიგში სწორედ სეფიანების დამსახურებაა. ამის უპირველესი საფუძველი კი იყო არა უშუალოდ სეფიანთა რელიგიური მრწამსი , არამედის პოლიტიკური მიზნები (ცენტრალიზებული, აბსოლუტისტური ტიპის სახელმწიფოს შექმნა , რომელის არსებობა უნდა დამყარებოდა ერთიან იდეოლოგიას.

სეფიანთა წინაპარი და ეპონიმი იყო შაიხი სეფი ად-დინ ისჰაკი , დერვიში, შესაძლოა ქურთული წარმომავლობის, რომელიც აზერბაიჯანის ქალაქ არდებილში ცხოვრობდა და დიდი რელიგიური პრესტიჟით სარგებლობდა . ის არ იყო შიიტი და შიიზმთან მხოლოდ იმ თვალსაზრისით იდგა ახლოს, რომ როგორც სხვა სუფიები, ტრადიციულად თაყვანს სცემდა 'ალისა და იმამებს . შაიხ სეფის მოღვაწეობა ნაკლებად იყო დატვირთული პოლიტიკური ელემენტებით. ამ პერიოდში სეფიანთა საძმოს წევრები უმთავრესად შაფიიტური მაზჰაბის მიმდევარი სუნიტები იყვნენ.[9]

[9] Sharif.M.M, A History of Muslim Philosophy, Wiesbaden , 1966, p.70

1499 წელს 12 წლის ისმა'ილი ყიზილბაშთა ქარიზმატული ლიდერი ხდება და მის მოწოდებას ფართო გამოძახილი აქვს . იმ შფოთვარე ეპოქაში სეფიანმა ისმა'ილმა მოახერხა რადიკალური სუფიურ-შიიტური იდეების პრაქტიკული რეალიზება.მის პროპაგანდაში გამოიკვეთა იმდროინდელი უკიდურესი შიიზმის ყველა უმთავრესი მახასიათელი. სეფი ად-დინის „ჩამომავლებემა" შიიტობა გარკვეულ პოლიტიკურ მიზნებს დაუკავშირეს.

ზოგი ავტორი მიიჩნევს , რომ სეფიანთა გამარჯვება იყო , პირველი გამოხატულება ირანული ნაციონალური გრძნობისა , რამაც განაპირობა ირანელი ერის ჩამოყალიბება.

სეფიანთა უმთავრესი მიზანს წარმოადგენდა ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნა , რომელიც გაუძლებდა ნებისმიერ გარეგან დარტყმას. ამ მიზნის მისაღწევად მ ერთის მხრივ, საჭირო იყო აბსოლუტური მონარქიის , როგორც ხელისუფლების ფორმის დამყარება და მეორეს მხრივ , უნდა მომხდარიყო სახელმწიფო რელიგიის ინსტიტუციონალიზაცია.

მნიშვნელოვანი ასევე გეოპოლიტიკური მომენტი:სეფიანებს საკუთარი პოლიტიკური პრეტენზიების განსახორციელებლად აუცილებლად ესაჭიროებოდათ იდეოლოგიური საყრდენი, უპირველესად ეს შეეხება სუნიტ ოსმალოებთან დაპირისპირებას. „შიიტიზაციის საფუძველი გახდა სეფიანთა დაპირსპირება დასავლეთით ოსმალო სულთნებთან , აღმოსავლეთით უზბეკ ხანებთან, აზერბაიჯანში შირვანის ხანებთან და ირანში სუნიტებთან და უკიდურეს შიიტებთან.

სეფიანთა ლეგიტიმურობა სამ პრინციპზე იყო დაფუძნებული: 1)ძველსპარსული „ღმერთის აჩრდილის"თეორია;2) სეფიანთა სუფიური ორდენის მეთაურობა, რაც ითვალისწინებდა მიმდევართა აბსოლუტურ და უპირობო მორჩილებას; 3) იმამებიდან ჩამომავლობა და ფარული იმამის წარმომადგენლობა.[10]

[10] .სანიკიძე.გ-შიიზმი და სახელმწიფო ირანში,გამომცემლობა"უნივერსალი",თბილისი,2005,გვ.110-115.

შიიზმი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, რომ სპეციალური წარმომადგენელი ნაიბ-ალ-ხასს მხოლოდ ფარული იმამის დაბრუნების შემდეგ შეიძლება არსებობდეს და იგი დაინიშნება იმამის მიერ. ისმა'ილისა და მის ადეპტებისათვის პრაქტიკულად უცნობი იყო იმამიტური დოქტრინა და ყიზილბაშთა მმართველი ელიტის შიიტიზაციაზეც მხოლოდ ისმა'ილის მმართველობის მეორე პერიოდიდან შეიძლება ლაპარაკი. XVI საუკუნის დასაწყისის ირანში პრაქტიკულად არც არსებობდა ძლიერი იმამიტური საღვთისმეტყველო-სამართლებრივი ტრადიცია.

წარმომავლობითი, პოლიტიკური წეს-ჩვეულებებით სეფიანთა დინასტია იმდენად უცხო იყო ირანული ტრადიციისათვის, რომ მას აბსოლუტურად არ დაუტოვებია სპარსელთა კოლექტიურ ცნობიერებაში „ნაციონალური" როლის შესაბამისი მოგონება. ასევე მნიშვნელოვანია , რომ სეფიანთა მთავარი ისტორიული დამსახურებაა , ირანული სახელმწიფოს შექმნა და შიიზმთან დაკავშირება.

საყურადღებოა , რომ სწორედ თურქმენული წარმომავლობის მომთაბარე ტომებმა შემოიტანეს იმამიტური შიიზმი ირანში და სახელმწიფო რელიგიის ფუნქცია მიანიჭეს მას. ამით თითქოს დაკანონებული სახე მიიღო ირანის სპეციფიურობამ , ქვეყნის გამოცალკევებულმა. განსსაკუთრებულმა ადგილმა მუსლიმურ სამყაროში.სწორედ სეფიანთა წყალობით მოხდა იმამიტური სამართლის სწავლულთა კორპუსის თვისობრივი გარდაქმნა-განახლება, რამაც თავის მხრივ , გამოიწვია , ის რომ ყიზილბაშთა ძალაუფლების ხასიათის ევულუცია ორთოდოქსული იმამიზმისაკენ სწორედ ამ ულემთა მოღვაწეობისა და ხელისუფლებაზე მათი გავლენის შედეგი გახდა.

თანდათანობით, იხვეწებოდა შიიტური კულტი და იმამიტური შიიზმიც სახელმწიფო რელიგიად ყალიბდენოდა . საბოლოო ჯამში, ირანის შიიტიზაციის პროცესი საკმაოდ რთულად მიმდინარეობდა. სეფიანთა სახელმწიფოს შექმნიდან რამდენიმე ათეული წლის შედეგადაც არ შეიძლება ირანი სრულ შიიტიზაციაზე ლაპარაკი.

ირანის შიიზმზე მოქცევამ XVI საუკუნის დასაწყისში პოლიტიკური საზღვარი გაავლო ირანსა და დანარჩენ მუსლიმურ სამყაროს შორის, სადაც ძირითადად სუნიტი ოსმალოები დომინირებდნენ. შიიზმა მოახდინა ირანის ეფექტური იზოლაცია დანარჩენი მუსლიმური სამყაროსგან , როგორც მენტალობის , ისე ქმედების თვალსაზრისით. ირანული კულტურული ინდივიზუალიზმის ტრადიციები ზრდიდა ამ განყოფის მნიშვნელობას. თუკი სეფიანებმდე შიიზმი ერთიანი მუსლიმური სამყაროს,მუსლიმური აზროვნების შემადგენელი ნაწილია, სეფიანების გაბატონებით იწყება გამიჯვნა და სწორედ პოლიტიკურ საფუძველზე , რომლისთვისაც გამოინახა რელიგიური გამართლება . ამ პერიოდიდან მოყოლობული ირანის ევულუცია მუსლიმური სამყაროდან გამოცალკევებულად მიმდინარეობს.[11]

[11] Rodinson.M, L I'slam politique et croyance,p 85-90

თავი II. შიიტური სამღვდელოების გააქტიურება ირანში და მათი როლი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე

2.1ირანის ნახევრად კოლონიური სახელმწიფო და სამღვდელოების დაპირისპირება ხელისუფლებასთან „თამბაქოს ბუნტი“.

უკვე XIX საუკუნის დამდეგიდან ევროპული სახელმწიფოებისგან იღელბდა დიდი რაოდენობით ვალებს, ეს კი ამ ქვეყნის დამოუკიდებლობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა.რუსეთთან ომის შემდეგ, ბრიტანეთმა მნიშვნელოვანი სესხები მისცა სპარსეთის ომის რეპარაციების გადასახდელად .

ირანის მაშინდელი მთავრობის შემოსავლები ქვეყნისათვის საკმარისი იყო სამეფო ხაზინის შესავსებად. მდგომარეობა შეიცვალა XIX საუკუნის 70 წლებიდან შაჰ ნასერ-ად-დინ ევროპული მოგზაურობების მიზეზებიდან გამომდინარე, რასაც ირანის ხაზინიდან ბევრი დანახარჯი მოჰყვა.

50-იანი წლებიდან , ევროპის სახელმწიფოებთან ირანის ურთიერთობების ახალი ეტაპი დაიწყო. რომელიც ხასიათდებოდა ევროპელთა მიერ აღებული კურსით, რათა მიეღოთ კონცესიები გარკვეულ ეკონომიკურ საქმიანობაში. პირველი მნიშვნელოვანი კონცესიები სატელეგრაფო კავშირი 1857 წელს ირანი კარგ დამაკავშირებელ ხაზად მიაჩნიეს. საერთაშორისო ხაზი , რომელიც XIX საუკუნეში, 50-იან წლებში გაიყვანეს, მოხდა სწრაფი გაზრდა ირანის ხელისუფლების სურვილის შესაბამისად, რომელსაც უნდოდა რაც შეიძლებოდა დროის მოკლე მონაკვეტში შეეტყო , თუ რა ვითრება იყო ქვეყნის სხვადასხვა პროვინციაში. ყველაზე დიდი კონცესია, რომელიც ირანმა გასცა, ბრიტანეთის ქვეშევრდომ ბარონი რეიტერი, მან ევროპაში სახელი გაითქვა ახალი ამბების სააგენტოს შექმნით . რეიტერმა ირანში მიიღო კონცენსია , რკინიგზისა და

ტრამვაის ხაზების გაყვანის, მინერალების მოპოვებისა და გაყიდვის, ასევე ყველა ჯერ კიდევ განუხორციელელი საირიგაციო სამუშაოების: ნაციონალური ბანკის განხსნის უფლება , ფაქტობრივად, ეს წარმოადგენდა ყველა სახის ინდუსტრიული და აგრარული პროექტების კონცენსიებს . კონცენსიის მთავარი ხელშემწყობი იყო ირანის მაშინდელი პრემიერი მირზა ჰოსეინ ხან მოშირ ად-დოულე. [12]

მრავალ ირანელ იმდროინდელ რეფორმატორს ორაზროვანი დამოკიდებულება ჰქონდა დასავლეთისა და დასავლური მთავრობების მიმართ და ზოგჯერ ერთ ინდივიდშიც კი მერყეობდა იყო დასავლეთის მიმართ პოზიტიურ და ნეგატიურ რეაქციებს შორის . ირანში პირველი რეფორმატორები ცდილობდნენ პროდასავლური ყოფილიყვნენ , მირზა ჰოსეინ ხანიც ამ გზას დაადგა . რეფორმატორები ითხოვდნენ , რომ დასავლური სახელმწიფოები მათი ქვეყნების ექსპლუატაციას ეწეოდნენ, მაგრამ ისინი გრძნობდნენ რომ ერთადერთი გზა იმდენად გაძლიერებისათვის, რომ წინ აღდგომოდნენ სადავლურ ექსპლუატაციასა და კონტროლს, იყო თანამედროვე დასავლური მეთოდების გათავისება სფეროში, რომელშიც შედიოდა განათლება , სამხედრო საქმე და ეკონომიკა.

მოშირ ად-დოულემ ძირითადად რეფორმები გაატარა ჯარსა და სასამართლო სფეროში, მაგრამ ის აღმოჩანდა დიდი ჩინოვნიკებისა და ულემების წინააღმდეგობის წინაშე.მან საკუთარი კარიერის დასრულებას შეუწყო ხელი რეიტერისათვის კონცენსიის გაცემით, რასაც , ის მიიჩნევდა ეკონომიკური მოდერნიზაციის საუკეთესო გზად , მაგრამ რასაც სხვები აღიქვამდნენ და გაცილებით უფრო სამართლიანადაც, ირანის რესურსების ბრიტანეთის ქვეშევრდომებისათვის მთლიანად გაცემის საშუალებად.

შაჰ ნასერ-ად-დინს ევროპაში სამი მოგზარობიდან პირველის დროს , 1973 წელს მან აღმოაჩინა , რომ რუსეთის მთავრობა მტრულად შეხვდა რეიტერის კონცესიას , ბრიტანეთის მთავრობაც არ უჭერდა მხარს რეიტერს, რომლის

[12].სანიკიძე..გ შიიზმი და სახელმწიფო ირანში,გვ.200.

კონცესიაც არ წარმოადგენდა ბრიტანეთის ხელისუფლების იდეას. ირანში , შაჰის ეს პირველი მოგზაურობის დროს სირთულეები წარმოიქმენდა რელიგიური თვალსაზრისით, ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა „ურწმუნოთა“მიწაზე ყოფნა , მათ მიერ მომზადებული საკვების ჭამა , ქალებისათვის ხელის ჩამორთმევა. მოგზაურობიდან უკან დაბრუნების შემდეგ , როდესაც შაჰი ხმელეთზე გადმოვიდა კასპიის ზღვისპირა ანზალის პორტში , დიდი ვეზირი მირზა ჰოსეინ ხანისა და რეიტერის მოწინააღმდეგე კოალიციის ძალა იმდენად დიდი იყო , რომ შაჰი იძულებული გახდა მალევე მიეღო მისი გადაყენების გადაწყვეტილება. მაგრამ შაჰმა ჰოსეიმ ხანს მაინც მისცა რეფორმების გაგრძელების საშუალება .[13]

ნასერ ად-დინ შაჰი ცდილობდა როგორმე რეიტერის კონცესიის ანულისრება მოეხდინა . ის გაცემული იყო იმ პირობით, რომ რეიტერს უნდა დაეწყო რკინიგზის გაყვანა კონცენსიით ზუსტად განსაზღვრულ დროში. მაგრამ მან პირობა ვერ შეასრულა.

1874 წელს ქართული წარმომავლობის ამინ ად-დოულე, მირზა ჰოსეინ ხანის შემდეგ ამ პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმატორი მინისტრი, დაინიშნა მინისტრად კონკრეტულად „ პირადი კორესპონდენციის“. მირზა ჰოსეინ ხანი იყენებდა ავსტრიელ მრჩეველებს არმიის რეორგანიზაციისათვის, ამინ ად-დოულე კი მათ ეყრდნობოდა საფოსტო სისტემის მოდერნიზებისათვის. მაგრამ საერთო ჯამში, შაჰი სულ უფრო მეტად ემორჩილებოდა სტატუსკვოს შენარჩუნების მსურველებს, განსაკუთრებით მირზა ჰოსეინ ხანის წინააღმდეგ აგორებული მოძრაობის წარმატების შემდეგ.[14]

ბრიტანეთის მთავრობა წარმატებით იყენებდა არამხოლოდ რეიტერის დაუკმაყოფილებელ მოთხოვნებს. არამედ სხვა კონცესიონერთა მოთხოვნებსაც. რეიტერის კონცესია იმდენად უნივერსალური იყო , რომ უმრავლეს მოთხოვნათა ბლოკირება სწორედ მის მიხედვით შეიძლებოდა. კასპიის ზღვის სამხრეთ სანაიროზე თევზჭერის მნიშვნელოვანი კონცესია მიენიჭა რუსეთის ქვეშევრდომს,

[13] Khaldun. Ibn, The Muqaddimah:An Introduction to History , New York, 1958, p 105.
[14] ASHGAR Fathi, “Role of the traditional Leader in Modernization of Iran London 1890-1910, p 200

რომლის მიერ შექმნილ კომპანიას მონოპოლია ეკუთვნოდა ირანული ხიზილალის წარმოებასა და გაყიდვაზე I მსოფლიო ომის დასასრულამდე. რუსეთის ქვეშევდომებდა ასევე მიიღეს სხვა კონცესიებიც, ნამდვილად კონცესიური ციებ-ცხელება დაიწყო 1888 წლის შემდეგ, ბრიტანული პოლიტიკა კონცესიების მიმართ ნაწილობრივი კეთილგანწყობიდან მტკიცე მხარდაჭერად შეიცვალა. ბრიტანეთის კონცერვატორული მთავრობის ახალი მისია , ირანის საქმეების მინისტრის, სერ ჰენრი დრამონდ ვოლფის მეთაურობით, აქტიურად იღწვოდა ეკონომიკური კონცესიების მოსაპოვებლად. ვოლფის ზეწოლის შედეგად , შაჰმა ირანის ერთადერთი სანაოსნო მდინარე სამხრეთში ქარუნი გახსნა საერთაშორისო ნაოსნობისათვის. რუსები ახდენდნენ ირანზე ზეწოლას , რომ მას არ გაეცა სატრანსპორტო კონცესიები მათი დასტურის გარეშე. ვოლფმა , რეიტერის ვაჟთან ერთად, მიაღწია შაჰთან შეთანხმების რეიტერის მნიშვნელოვან მოთხოვნასთან დაკავშირებით. ეს შეთანხმება რეიტერს აძლევდა ორ მნიშვნელოვან სფეროს პირველი კონცესიიდან , ნაციონალური ბანკის შექმნის უფლებას. წიაღისეულში შედიოდა ნავთობიც , რეიტერის პირვანდელი კონცესია მასაც მოიცავდა , ზოგიერთის აზრით , შეიძლებოდა აღმოჩენილიყო ირანში, წიაღისეულის ძიება მალე შეწყდა და მასზე უფლებები დაუბრუნდა ირანის მთავრობას. სპარსეთის საიმპერიო ბანკი სახელმწოდებით „ბანქ-ე შაჰი“ გაიხსნა ცენტრით ირანის დედაქალაქ თეირანში რომლის ფილიალებიც განთავსდა ამ ქვეყნის სხვადასხვა პროვინციებში . ამ ბანქ-ე შაჰს ჰქონდა ფულის დაბეჭდვის და ფასიანი ქაღალდების გამოშვების უფლება. მათ ამას გარდა, უნდა გაეყვანათ გზები ირანის ჩრდილოეთში და ამას გარდა გაეხსნათ თავიანთი საკუთარი ბანკი , რომელსაც ისინი გამოიყენებდნენ ირანელი თანამდებობის პირებისათვის სესხების მისაცემად.

1879 წელს რუსეთში მყოფ შაჰ ნასრ-ად-დინზე(1848-1896წწ) დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კაზაკებმა. ამის გამო შაჰმა შექმნა ირანული „კაზაკთა ბრიგადა“, რომლის ამ საჯარისო შენაერთს სათავეშიც რუსი ოფიცრები . აღნიშნული „კაზაკთა ბრიგადა“ კარგად დისციპლინირებულ ძალად. აღნიშნული კონცესიების მთელი ეს სერია იმის მანიშნებელი იყო , რომ ბრიტანეთისა და

რუსეთს კონტროლი ირანზე საგრძნობლად გაიზარდა. „სპარსეთის საიმპერიო“ ბანკის ექსკოლუზიური უფლება გამოეშვა ბანკნოტები , პოპულარობით იყო ირანელ ვაჭრებისთვის და მევახშეებისთვის. ირანელი ბანკირების მიერ მოხდა , საიმპერიო ბანკის მონეტების ბოიკოტი რამდენჯერმე. რუსული ბანკი , რომლის დაფინანსება ხდებოდა ხელისუფლების მიერ, უფრო ნაკლები ეკონომიკური პრივილეგიებით სარგებლობდა , ვიდრე ინგლისისა. XIX საუკუნის ბოლო , როგორც ბრიტანელებს , ისე რუსებს , მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები ჰქონდათ ირანში და ასევე ზოგიერ სფეროში ისინი სრულ კონტროლს აღწევდნენ .

XIX საუკუნის ირანში განსაკუთრებით გამოიკვეთა სასულიერო წოდების გააქტიურების ტენდენცია , რაც გამოიხატა 1892 წელს ე.წ „თამბაქოს ამბოხებაში. თუკი რომელიმე მოვლენა შეიძლება ჩაითვალოს ირანის , როგორც მოდერნული ერ-სახელმწიფოს ისტორიის დასაწყისად, ეს უეჭველად „თამბაქოს ამბოხებაა. ფათჰ ალი შაჰის ხანგრძლივი მმართველობის პერიოდში , როგორც ყაჯართა დინასტიამ , ისე შიიტურმა ჰიეროკრატიამ , მოახერხეს თავიანთი , პოლიტიკური და რელიგიური ხელისუფლების გამყარება და კონსოლიდაცია. გაიყო ხელისუფლების პოლიტიკური და რელიგიური ფუნქციები. ყაჯარებმა თავიდანვე აღიარეს ულემების განსაკუთრებული , მოძღვრის როლი დინასტრიისათვის და აქედან გამომდინარე სამღვდელოება რელიგიური სფეროს კონტროლის გარდა , აქტიურ მონაწილებას იღებდა პოლიტიკურ პროცესებაშიც. მათ პოლიტიკური პროცესების განმაპირობებელი რელიგიური გადაწყვეტილებები გამოჰქონდათ.[15]

ისლამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სამღვდელოების ძალაუფლება მოიცავდა რელიგიურ , იურიდიულ და საგანმანათლებლო სფეროებს . XIXს-ის პირველ ნახევარში მრავალი ტრაქტატი დაიწერა პოლიტიკური ეთიკისა და პოლიტიკური თეორიის შესახებ , რომლებიც ამართლებდნენ სამღვდელოების და მონარქიის ფუნქციების ამგვარ გადანაწილებას , ხაზს უსვამდნენ კონკორდატისა და თანამშრომლობის აუცილებლობას სახელწიფოსა და ჰიეროკრატიას შორის .

[15]სანიკიძე გ. ალასანია გ. გელოვანი ნ. ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIX ს.- XXI ს. დასაწყისი), თბილისი 2011წ,გვ50-55.

დაპირსპირების პირველი ნიშნები XIXს-ის მეორე ნახევრიდან ჩნდება , როდესაც ირანის მთავრობა სამღვდელოების მიერ გაკიცხული რეფორმების ჩატარებას შეუდგა. სამღდელოება მიიჩნევდა , რომ რეფორმები და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ქვეყანას ნახევრადკოლონიად გადააქცევდა. ანტიკოლონიური და პატრიულ-პოპულისტური ლოზუნგით საკუთარი პრივილეგიების შენარჩუნების მოთხოვნით უპირისპირდებოდა სამღვდელოება რეჟიმს . ისინი ამგვარი ოპოზიციური პოლიტიკის მოშველიებით მომხერეთა მრავალრიცხოვან არმიას იძენდა.

ყოველივე ეს ოპოზიციის , ხელისუფლებაზე განაწყენებული სამღვდელოების წისქვილზე წყალს ასხამდა. ამის შედეგად 1891 წელს ე.წ „თამბაქოს კონცენსია“ საყოველთაო საპროტესტო მოძრაობის მიზეზად იქცა .

ნასერ ედ-დინ შაჰის უზომო ხარჯების , განსაკუთრებით 1989 წლის ევროპაში მოგზაურობის შედეგად დაგროვილი ვალების გამო , პირველმა ვაზირმა ალი აშყარ ხან ამინ ას-სოლთანმა წამოიწყო მოლაპარაკებები ბრიტანელებთან ირანული თამბაქოს კონცენსიის შესახებ.

1990 წლის 8 მარტს შაჰმა 50 წლით ბრიტანელ ჯერალდ ტალბოლტს მიანიჭა თამბაქოს კულტურაზე მონოპოლია- მისი გასაღებისა და ბრიტანეთში ექსპორტის უფლებით. პრივილეგიებით გათვალისწინებული იყო , რომ მხოლოდ კონცესიის მფლობელის მიერ გაცემული უფლებით უნდა მომხდარიყო მთელი ირანის ტერიტორიაზე თამბაქოს წარმოება და გაყიდვა . კომპანია კი ელოდა უდიდეს მოგებას.

ეს კონცესია ძირითადად ემუქრებოდა ბაზრის გამყიდველებისა და მევახშეების შემოსავლებს . ამ ურბანიზებულ საშუალო კლასთან იდგნენ ყველაზე ახლოს ულემები თავიანთი წარმომავლობით, კავშირებითა და თანმთხვევი ინტერესებით. თამბაქოს ამბოხება უპირველესად უკავშირდებოდა ბაზრის ხალხის , ირანში ოდითგანვე მეტად ძლიერი სოციალური ფენის და სამღვდელოების ერთგული მოკავშირის ინტერესების იგნორირებას . მალე გამოვლინდა , რომ სამღვდელოებას შესწევდა უნარი სპონტანური სახალხო

საპროტესტო მოძრაობა საკუთარი და ბაზრის ხალხის ინტერესების გამომხატველად გადაექცია .

კონცენსიის გაფორმებაას თავდაპირველად მხოლოდ დაინტერესებული მოსახლეობის თხოვნა მოჰყვა ხელისუფლებისადმი შეემსუბუქებინა კონცესიის პირობები რადგან აღნიშული ხელშეკრულება მათ გაკოტრებას ნიშნავდა. იმდენად დიდი იყო ინგლისური კომპანიის მონოპოლიის შიში, რომ ირანელმა თამბაქოს მწარმოებლებმა და თამბაქოთი მოვაჭრეებმა „მზადყოფნა გამოთქვეს გადაეხადათ მთავრობისათვის უფრო დიდი ყოველწლიური შესატანი“, ვიდრე ის , რომლის გადახდაც ითავა კომპანიამ, თუმცა ეს წინადადება შაჰმა არ მიიღო.

თამბაქოს მონოპოლიის წინააღმდეგ მოძრაობა დაიწყო შირაზში , სადაც განთავსებული იყო კომპანიის ერთ-ერთი მთავარი სააგენტო . საპროტესტო მოძრობას სათავეში ჩაუდგა შირაზის სამღვდელოება , რომელიც მოითხოვდა კომპანიის აგენტ ბინსს დაეტოვებინა შირაზი .მის წასვლამდე კი უარს ამბობდა მეჩეთებში შესვლამდე.

მღელვარების ეპიცენტრი შირაზის შემდეგ თავრიზი გახდა. თავრიზის მთავარმა მოჯთაჰედმა ჰაჯიმ ჯავად აღამ განაცხადა : თუნდაც რომ დაპატიმრება და გადასახლება მელოდეს არ შევწყვეტ აგიტაციას თამბაქოს მონოპოლიის წინააღმდეგ, რადგანაც მისი დაკანონება შარიათის აშკარა დარღვევაა.

ამბოხებულთა მოქმედებამ აიძულა შაჰი დათმობებზე წასულიყო და 1891 წელს 30 აგვისტოს აზერბაიჯანის პროვინციაში თამბაქოს მონოპოლია გაეუქმებინა , თუმცა ამით კონფლიქტი არ ამოიწურა და საპროტესტო მოძრაობამ უფრო ფართო , ფაქტობრივად მთელი ქვეყნის მასშტაბი მიიღო.

თამბაქოს მონოპოლიასთან დაკავშირებულმა მღელვარებებმა შირაზიდან და თავრიზიდან ის ისფაჰანს , მეშჰედსა და თეირანს მიაღწია. დაიწყო თამბაქოს , ყალიანების , მოსაწევი ჩიბუხების მასობრივი განადგურება . ერაყის წმინდა ქალაქებიდან შიიტური სამღვდელობის ელიტა ირანელ შიიტ მოძმეებს მხარდაჭერა გამოუცხადა. სამარაში საყოველთაოდ აღიარებულმა მარჯამ ალ-თაკლიდმა მირზა ჰოსეინ შირაზიმ წერილები და ტელეგრამები გაუგზავნა შაჰს

კონტრაქტის გაუქმების მოწოდებით. 1891 წლის დეკემბრის დასაწყისიდან თეირანში ცირკულირებდა ფეთვა , რომელიც კრძალავდა თამბაქოს გამოყენებას და ამ მოვლენას აიგივებდა ფარული იმამის წინააღმდეგ ომის დაწყებასთან.[16]

თამბაქოს კონფლიქტთან ქერბალაში მცხოვრები ჰოჯათ-ო-ესლამ ჰაჯი ჰასან ალ-ჰოსაინი შაჰს აიათოლა შირაზის ანალოგიური წერილებით მიმართავდა:უცხოელებისათვის უფლებების მიცემა ჩაერიონ სახელმწიფოს საქმეებში მათი ურთიერთობა მუსლიმანებთან , ბანკისა და თამბაქოს მონოპოლიის შექმნა , რკინიგზის გაყვანა და სხვა, რაც წარმოადგენს დიდებული ყურანის წესების და საღვთო კანონის დარღვევას , ასუსტებს ხელისუფლების ძალას , არღვევს სახელმწიფოს წესრიგსა და იწვევს ხალხის გაღარიბებას.

თამბაქოს ამბოხებაში , არაპირდაპირ მონაწილეობას იღებდა პანისლამისტური მოძრაობის ერთ-ერთი ფუძემდებელი და ლიდერი ალ-ავღანიც , რომელიც ქადაგებას ეწეოდა შაჰის პოლიტიკის წინააღმდეგ.

შაჰის მთავრობამ სცადა სიტუაციის მოგვარება კონცესიის პირობების შემსუბუქებითა და ხელშეკრულებიდან ტერმინ მონოპოლიის ამოღებით, მაგრამ მოძრაობის აგორების ტალღას ეს ვერ შეაჩერებდა . სამღვდელოება შემრიგებლურ პოზიციებზე გადავიდა მხოლოდ მას შემდეგ, როცა 28 დეკემბერს ხელისუფლება იძულებული გახდა გაეკეთებინა განცხადება კონცესიის სრული გაუქმების შესახებ. 1892 წელს 6 იანვარს თეირანის მოჯთაჰედმა აშთიანიმ მოუწოდა მოსახლეობას განეახლებინა ყოველდღიური საქმიანობა და 26 იანვარს სამარადან გამოგზავნილი ტელეგრამით აიათოლა შირაზიმ მოსახლეობას თამბაქოს მოხმარების უფლება მისცა.ამით საბოლოო წერტილი დაესვა ბოიკოტს.

თამბაქოს ამბოხი გამოდგა პირველი საპროტესტო მოძრაობა , რომელშიც წამყვანი როლი სამღვდელობამ ითავა , ამით ფაქტობრივად დაირღვა ის კონკორდატი , რომელიც მთელი XIX საუკუნე არსებობდა ყაჯარებსა და სასულიერო წოდებას შორის , რომლის არსებობასაც საუკუნის მეორე ნახევრიდან აშკარად საფრთხე დაემუქრა ხელისუფლების მიერ სამღვდელოებისათვის

[16] Dwight M.Donaldson, The Shi'ite Religion , London, 1933, p 155 .

არახელსაყელი რეფორმების გატარებისა და ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ევროპეიზაციის მცდელობის გამო.

ირანის მთავრობის გაუბედავი პოლიტიკა და შიში გაეუქმებინა მონოპოლია ინგლისის მხარის თანხმობის გარეშე, ხელსაყრელი მიზეზი იყო მოძრაობაში სასულიერო პირების ჩართვისათვის.

თამბაქოს მონოპოლიის წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო მოძრაობა იყო არამხოლოდ უცხოელთა შემოჭრის წინააღმდეგ რელიგიური მტრობის წინ წამოწევა , არამედ ულემთა ძალის დემონსტრაციაც. თამბაქოს კონცესიის ოპოზიციაში მათ დაამტკიცეს რომ გააჩნდათ უნარი გაერთიანებისა და ოდნავ გამოაჩინეს საკუთარი ძალა. შემდგომ წლებში მათი პოზიცია უფრო აგრესიული გახდა რამდენადაც მათი პოზიცია უფრო აგრესიული გახდა. [17]

ირანელი სეკულარისტი ისტორიკოსი აჰმად ქასრავი მიიჩნევს, რომ ეს იყო სამღვდელოებისა და ხალხის ერთსულოვანი ამბოხი უცხოელთა დომინისრების წინააღმდეგ და ქვეყნის დამოუკიდებლობის დასაცავად . მეორე ირანელი ისტორიკოსი ფერეიდუნ ადამიათი თვლის, რომ სამღვდელობას მხოლოდ საკუთარი ინტერესების დაცვა ამოძრავებდა . იგი და ამ თვალსაზრისის სხვა მომხრეები მიიჩნევენ , რომ სამღვდელოება უზარმაზად სავარგულებს აკონტროლებდა რელიგიური მიწების სახით. მოვაჭრეთა და მათ შორის კი სწორედ ეკონომიკური ინტერესების თანმთხვევა არსებობდა.

ამდენად , თამბაქოს ამბოხების შემთხვევაში სამღვდელობა , ირანის ისტორიაში პირველად რეალურად გახდა პოლიტიკური პროცესების მთავარი წამმართველი და პირველად შეძლო ულტიმატუმების ენით ელაპარაკა ხელისუფლებასთან, რელიგიური გამართლება გამოეძებდა წმინდა პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის მოძრაობისათვის და სათავეში ჩადგომოდა მას.

თამბაქოს მოძრაობა დაიწყო არა სამღვდელობის , არამედ კონცენსიით დაზარალებული მოსახლეობის მიერ. სამღვდელობა კი მაშინ შეუერთდა მოძრაობას , როდესაც აშკარად გამოჩნდა , რომ მოძრაობაში ჩაბმა უთუოდ მის

[17] Bosworth.E, Iran and Islam , Edinburgh, 1971 , p 75.

ავტორიტეტსა და შემატებდა პოლიტიკურ წონას. თამბაქოს ამბოხების დროს ულემებმა , ამ მოძრაობის მათთვის სასურველ კალაპოტში ჩასაყანებლად ყველაფერი გააკეთეს.

თამბაქოს ამბოხების დროსაც სამღვდელოებაში არ იყო ერთიანობა.ამრიგად თამბაქოს ამბოხება წარმოადგენდა პოლიტიკურ ოპოზიციურ მოძრაობაში სასულიერო პირთა ჩაბმის პირველ მაგალითს. მიუხედავად იმისა , რომ ამ მოძრაობის ინიციატორი სამღვდელოება არ იყო , მან მოახერხა მოძრაობისათვის მისთვის სასურველი რელიგიური ჩარჩოს გამონახვა და პრაქტიკულად პირველად , ამ მოძრაობის წარმართველი როლის შესრულებით, შექმნა საერო და სასულიერო ძალაუფლების მის ხელში გაერთიანების პრეცედენტი.

თამბაქოს ამბოხების მაგალითზე კიდევ ერთხელ გამოვლინდა , თუ რაოდენ ღრმად იყვნენ ჩართული ირანში მიმდინარე პროცესებში ბრიტანეთი და რუსეთი. 1890 წელს რუსეთის ელჩმა დაგმო კონცესია. ამბოხებამ , პირველ რიგში, აჩვენა სასულიერო წოდების უნარი ზეგავლენა მოეხდინა საზოგადოებრივ აზრზე. ამ რეალობიდან გამომდინარე, ბრიტანელებმა გააორმაგეს ძალისხმევა პრორუსულად განწყობილი ულემების საკუთარ მხარეზე გადმოსაბირებლად და მათდამი კეთილგანწყობილი სამღვდელობის მხარდასაჭერად.[18]

2.2 კონტიტუციური მონარქიები ირანში და შიიტური სამღვდელოება ქვეყნის პოლიტიკურ ასპარეზზე

ირანის კონსტიტუციური მოძრაობა უკავსირდება ქვეყანაში დასავლეთის შეჭრას . მან შაერყია ტრადიციულად ისედაც სუსტი კავშირები, რომელიც არსებობდა ყაჯართა სამეფო კარსა და ირანის საზოგადოებას შორის. ამან შეაკავშირა ქალაქების ბაზრის ხალხი და რელიგიური ელიტა ერთიან ზერეგიონულ საშუალო კლასში, რომელმაც გააცნობიერა ხელისუფლებისაგან და უცხო სახელმწიფოებისაგან მომავალი საერთო საფრთხე. ჩამოყალიბდა

[18] .სანიკიძე.გ-შიიზმი და სახელმწიფო ირანში,გვ.65-70.

მესაკუთრე კლასი , რომელმაც მოგვიანებით ტრადიციული საშუალო კლასის სახელი მიიღო. ეს სასიცოცხლო კავშირი „მეჩეთსა“ და „ბაზარს შორის, რომელიც დღემდე გრძელება , სათავეს XIXს-ში იღებს. დასავლეთთან კონტაქტების გზით, შემოვიდა ახალი იდეები, ახალი პროფესიები და შედეგად , გამოიკვეთა ახალი საშუალო კლასის კონტურები. ისინი საკუთარ თავს უწოდებდნენ „განათლებულ მოაზროვნეებს“ ამისათვფის თავდაპირველად ისინი იყენებდნენ არაბულ ტერმინს მონვარ ალ ფექრან, ხოლო შემდგომ შექმნეს მისი სპარსული შესატყვისი როუშანფექრან.

1896 წელს ტახტზე ავიდა მოზაფარ ედ-დინ შაჰი (1853-1907).მისი შაჰად გახდომის პერიოდიდან რეფორმატორთა პრესი სულ უფრო გაიზარდა. ახალი შაჰი არ იყო მტრულად განწყობილი გარკვეული რეფორმისადმი ის არც პოლიტიკური ძალადობის მომხრე აღმოჩნდა. მისი ამგვარი დამოკიდებულება რეფორმენოსა და პოლიტიკოსების მიერ გაკრიტიკებული იქნა ულემებისგან.

ირანში იმ დროს შექმნილი მძიმე ვითარების გამო ხელისუფლებით უკმაყოფილო მოსახლეობამ დაიწყო მასობრივი საპროტესტო აქციები . თამბაქოს კონცესიის წინააღმდეგ ულემთა ბრძოლა, გარკვეული თვალსაზრისით, 1905-06 წლების საკონსტიტუციო კრიზისის გენერალური რეპეტიცია გახდა.

ხელისუფლებისადმი უკმაყოფილო ბაზრის ხალხი შაჰის მეჩეთში შეიკრიბა და საპროსტესტო ბესთი წამოიწყო. ხელისუფლების მსტოვრები პანიკის გამოწვევით შეეხადნენ დაეშალათ ბრბო. ულემებმა, ბაზრის ხალხის მოკავშირეებმა და დამცველებმა , ამბოხელბულების მხარე დაიჭირეს და დაუპირისპირდნენ ხელისუფლებას. მათ მასობრივად დატოვეს თეირანი და დაბანკდნენ იმამზადე აბდ ალ-აზიმის მავზოლეუმთან, ძველ რეისთან, საიდანაც თავისი მოთხოვნები წამოუყენეს შაჰს , რომელშიც შედიოდა , შარიათის სრულფასოვანი გამოყენება და სპეციალური კოლეგიის (ადალეთ ხანე) შექმნა სამართლიანობის დასაცავად.

ულემებმა დატოვეს მავზოლეუმთა არსებული ბანაკი და მოსალაპარაკებლად თეირანში ჩავიდნენ, მათ აღფრთოვანებით შეხვდა ბრბო.

ულემებსა და ხელისუფლებას შორის მოლაპარალებების პროცესს თან ახლდა სისხლიანი შეტაკებები შირაზსა და თეირანში. მეშჰედში კი სამთავრობო ჯარებმა სისხლის ტბები დააყენეს იმამ რეზს მავზოლეუმის ეზოში. როდესაც ოფიცერმა შემთხვევით ახალგაზრდა სეიედი მოკლა. პროტესტის ნიშნად ორი ათასამდე ულემმა კვლავ დატოვა თეირანი და ყუმში დაბანაკდა.

ულემები ცდილობდნენ მიეღწიათ საკუთარი წინამავალი როლის აღიარებისთვის ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და მომავალ მეჯლისში. ამ მიზეზით, ბესთი მხოლოდ მაშინ შეწყდა და სამღვდელოება ყუმიდან თეირანში დაბრუნდა. ახალ დამატებით ბრძანებაში მეჯლისი ასევე იწოდებოდა მუსლიმურად და მითითებული იყო, რომ მისი მუშაობა შარიათის ნორმების შესაბამისი უნდა ყოფილიყო.[19]

1905-06 წლებში მოძრაობა ძირეულად განსხვავდებოდა თამბაქოს კონცესიის წინააღმდეგ წარმართული კამპანიისაგან. 1992 წელს საპროტესტო მოძრაობას მთელი ქვეყანა შეუერთდა,ამავე წლებში თეირანი ბრძოლის ველად იქცა. მოძრაობის თეირანელი ლიდერები ინტელექტუალი ლიბერალები იყვნენ და სრულად უჭერდნენ მხარს ჯამალ ად-დინ ალ-ავღანის შეხედულებას, რომ რეფორმები აუცილებლად უნდა განხორციელდეს და ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე, უნდა მოხდეს მათი მისადაგება ისლამთან. ყოველივე ეს მეტად რთული აღსაქმელი იყო მოლების უმრავლესობისათვის,განსაკუთრებით პროვინციებში. კამპანია უცხოელების წინააღმდეგ, უპირველესად მათ წინააღმდეგ. ვინც ისაკუთრებდა თამბაქოს, გასაგები იყო ყველასათვის . მათ შორის გაუნათლებელი მოლებისათვის, რაც არ შეიძლება ითქვას იმ სრულიად ახალი და რთულად აღსაქმელი იდეების შესახებ, რომლებიც საფუძვლად ედო კონსტუტიციურ მოძრაობას.

სამღვდელობას ორი გამოჩენილი აიათოლა ედგა სათავეში : პირველი- სეიედ აბდოლა ბეჰბაჰანი ამბიციური და პატივმოყვარე რელიგიური პირი იყო , რომელმაც თავის დროზე ანგარიში არ გაუწია თამბაქოს მოხმარების აკრძალვის

[19] კიკნაძე ო. ირანი, გამომცემლობა "მეცნიერება" თბილისი, 1979, გვ.97-99.

ფეთვას და საჯაროდაც კი ბედავდა მოწევას. ასევე ის განსაკუთრებულად მტრულად იყო განწყობილი პრემიერ-მინისტრის მიმართ. რაც შეეხება მეორეს - სეიედ მოჰამად თაბათაბაის , ის ლიბერალი თეოლოგი იყო , ახლოს იდგა მასონურ წრეებთან და ძლიერ იყო პოლიტიზებული. ის ნაწილობრივ იზიარებდა მალქონ ხანის იდეებს და ხშირად ხვდებოდა ალ-ავღანის მისი თეირანში ყოფნის დროს.

ზოგადად , კონსტიტუციისათვის ბრძოლის პერიოდში ულემთა სამი პოზიცია შეიძლება დაფიქსირდეს: ერთი ჯგუფი , რომელსაც სათავეში ედგნენ მოლა მოჰამად ქაზემ ხორასანი, ჰაჯი შეიხ აბდოლა მაზანდარანი და ჰაჯი მირზა ჰოსეინ თეჰრანი მიიჩნევდნენ , რომ ვინაიდან დროის იმამი ფარულია და აქტიურ როლს არ ასრულებს სამყაროში, ბრძენის მმართველობას შეუძლია შეცვალოს ბოროტის, უღირსის მმართველობა . ამგვარი პოზიციის მომხრენი ფაქტობრივად ჩამოცილებულნი იყვნენ პოლიტიკურ ცხოვრებას და საზოგადოებისათვის სანიმუშო და რელიგიის პოზიციების დაცვისათვის საჭირო მმართველობის განხორციელებას კეთილმორწმუნე მმართველობისათვის აუცილებელი თვისებებით აღჭურვილი მონარქის პრეროგატივად მიიჩნევდნენ.

მეორე ჯგუფი, თაბათაბაისა და ბეჰბაჰანის მეთაურობით, ნაწილობრივ ეთანხმებოდა ამ იდეას, მაგრამ ხაზს უსვავდა მისი განხორციელების სიძნელეს და მიიჩნევდა , რომ კონსტიტუციური ნორმების მიღებით შესაძლებელი იქნებოდა მმართველთა განუსჯელი მოქმედების ალაგმვა, ეს ნორმები კი ევროპულ დემოკრატიულ იდეებს უნდა დაყრდნობოდა. მესამენი , შაიხ ფაზლოლა ნურის ხელმძღვანელობით, თვლიდნენ , რომ უნდა დამყარებულიყო კონსტიტუციური მმართველობა, მაგრამ კონსტიტუციის საფუძველი რელიგია უნდა ყოფილიყო და რელიგიურ კანონს უნდა გადაეწყვიტა სახელმწიფოში არსებული პრობლემა. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში ულემთა პოლიტიკური როლი უკიდურესად გაიზრდებოდა. ნურის ლოზუნგი იყო ენყელაბ-ე მაშრურიათიათ-მაშრუ - რელიგიური კონსტიტუციური რევოლუცია.

1906 წლის 5 აგვისტოს შაჰმა მოაწერა ფირმანს , რომელიც მოუწოდებდა ხალხის რჩეულთ შეექმნათ ეროვნული სათათბირო ასამბლეა. პრემიერ მირზა

ნასროლა მოშირ ად-დოულე მოითხოვდა, რომ პარლამენტს წოდებოდა „ისლამური სათათბირო ასამბლეა“. უმრავლესობა რევოლუციონერის ღიად თუ ფარულად იყვნენ ზოროასრელეი, ქრისტიანები, ებრაელები და ბაბიდები. თანხმობა ზედსართავ ისლამზე ნიშნავდა ულემებისათვის განსაკუთრებული ძალაუფლების მიცემას, რომელთათვისაც მუსლიმური კონფესიური ჩარჩოების გარეთ თავისუფლებებზე და თანასწორობაზე ლაპარაკი მისაღები არ იყო. მეჯლისში არავის გამოუთქვამს პროტესტი იმის გამო, რომ მოჯთაჰედები პირველ რიგში ისხდნენ , რომელთაც არჩევნებში საერთოდ არ მიუღიათ მონაწილეობა.

1906 წლის 7 ოქტომბერს შეიკრიბა პირველი „ეროვნული კონსტიტუციური ასამბლეა“ რომელშიც მიწვეული იყო 156 დელეგატი. დეპუტატთა მნიშვნელოვანი ნაწილი გამოსული იყო ბაზრიდან და ხელოსანთა გილდიებიდან. დეპუტატთა შედარებით მცირე ნაწილს, დაახლოებით მეხუთედს, ულემები შეადგენდნენ. თაბათაბაი და ბეჰბაჰანი არ იყვნენ პარლამენტის წევრები , მაგრამ აქტიურად მონაწილეობდნენ დებატებში.[20]

აქვე მნიშვნელოვანია , რომ პირველ მეჯლისში სამღვდელობის შედარებით მცირე რაოდენობამ არ უნდა შეგვიყვანოს შეცდომაში. ეს არ ასახავს სამღვდელოების რეალურ გავლენას. ვაჭარ-ხელოსანთაგან მრავალი დეპუტატი სეიედი ან ჰაჯი იყო. ისინი მჭირდროდ იყვნენ დაკავშირებულნი სამღვდელოებსათან და მისი გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. ეს ჩაცმულობის თვალსაზრისითაც გამოიხატებოდა, დეპუტატთა ნახევარზე მეტი ჩალმას ატარებდა. შესაძლოა ის ფაქტორიც მოქმედებდს , რომ მოჯთაჰედი არ წარმოადგენდა მეჯლისის სასურველ წევრს, ვინაიდან მისი აზრის უარყოფა დაუშვებელი იყო მართლმორწმუნე მუსლიმებისათვის და ამრიგად გაქრებოდა საკითხების თავისუფალი განხილვის საშუალება მეჯლისში. გარდა ამისა, როგორც ვთქვით, აიათოლები თაბათაბაი და ბეჰბაჰანი, რომლებიც მხარს უჭერდნენ კონსტიტუციურ მოძრაობას, არ იყვნენ არჩეულები მეჯლისში, მაგრამ აქტიურად მონაწილეობდნენ მის მუშაობაში. ისინი თავჯდომარის პირდაპირ ისხდნენ. გამოდიოდნენ დებატებში, იძლეოდნენ დასკვნებს მეჯლისის ამა თუ იმ

[20] .ჭიპაშვილი გ. ,,ირანის სახელმწიფო წყობილება“ , თბილისი 1989 ,გვ.203-205.

ღონისძიებებისა და გადაწყვეტილების შარიათთან შესაბამისობის შესახებ და ამგვარად ინსტანციის როლს ასრულებდნენ ასამბლეის მუშაობაში.

ორი საბოლოო დოკუმენტი „ძირითადი კანონი“ და „ძირითადი კანონის“ დამატება , ბელგიის კონსტიტუციის მოდელის მიხედვით შეიქმნა. მეჯლისის შექმნილი კომისიის მიერ შემუშავებულ იქნა „ძირითადი კანონი“-ყანუნ-ე ასასი, კონსტიტუციის პირველ ვარიანტს წარმოადგენდა . კონსტიტუციის ტექსტს „მომაკვდავმა“შაჰ მოზაფერ ად-დინ შაჰმა 1906 წლის 30 დეკემბერს მოაწერა ხელი. 1907 წლის 8 იანვარს კი იგი უკვე გარდაიცვალა.[21]

ირანის ახალი შაჰი იძულებული გახდა, რომ ხელი მოეწერა კონსტიტუციის სრული ტექსტისათვის 1907 წლის 7 ოქტომბერს, ხოლო 1907 წლის 8 ოქტომბერს , ირანის მეჯლისმა მიიღო კონსტიტუციის შესწორებული დამატებები ამ დღიდან მოყოლებული , ვიდრე 1979 წლამდე (ამ წელს მოხდა ისლამური რევულუცია) აღნიშნული კონსტიტუცია ძალაში იყო , ანუ მანამ სანამ არ გამოცხადდა ირანი ისლამურ რესპუბლიკად,ისლამური რესპუბლიკის გამოცხდებამდე, ირანი ოფიციალურად კონსტიტუციურ მონარქიად სალთანათ-ე მაშრუთ-ად იწოდებოდა.

როგორც აღინიშნა, ირანის კონსტიტუცია დიდწილად იმეორებდა ბელგიის 1931 წლის კონსტიტუციას, მაგრამ მასში იკვეთებოდა ულემთა გავლენის კვალიც, მაგალითად: ჯაფარიტული მაზჰაბი ე.ი შიიზმი ცხადდენოდა ირანის სახელმწიფო რელიგიად. მეჯლისის წევრს უნდა დაეფიცა ყურანზე. დამატებით პუნქტში აღნიშნული იყო, რომ მეჯლისის არც ერთი გადაწყვეტილება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ყურანს. მეჯლისისა და მთავრობის წევრებს წერილობითი ედა ზეპირი გამოსვლებისას ენიჭებოდათ თავისუფლება, მაგრამ დაუშვებელი იყო „საზოგადოებების და ასოციაციების შექმნა, თუ ისინი საფრთხეს არ უქმნიდნენ.

ირანის პირველი კონსტიტუციის მიხედვით, ძალაუფლება გადაეცემოდა შაჰს ერის მიერ, მაგრამ ამისთვის ამას გარდა საჭირო იყო იყო სამღვდელოების დასტური, რადგანაც სამღვდელოების ხედვით ძალაუფლება „ღვთის საჩუქრადაა

[21] Bausanni.A, “Religion under the Mongols, in Cambridge History of Iran , London ,2005, p , 600.

მიჩნეული“ , შიიტი ულემები ისევ ქონდათ პრეტენზია , რომ იყვნენ „ფარული იმამ“-ის ერთადერთი წარმომადგენელები.

1907 წლის კონსტიტუციის ტექსტი გარკვეული კომპრომისია სამღვდელოების რელიგიურ განწყობებსა და საერო ლიბერალების დემოკრატიურ იდეებს შორის. კონსტიტუციით, საერო პირები აღიარებდნენ იმამიტურ შიიზმს სახელმწიფოს ოფიციალურ რელიგიას და თანხმდებოდნენ, რომ ნებისმიერი კანონი ისლამთან შესაბამისობის თვალსაზრისით უნდა შეემოწმებინა , ხუთ მოჯთაჰედისგან შემდგარ საბჭოს.

ირანის პირველ კონსტიტუციაში ულემებისათვის მინიჭებული განსაკუთრებული ადგილი იმის თქმით საშუალებას იძლევა, რომ ირანული კონსტიტუცია ერთადერთი იყო მსოფლიოში , რომელიც დაფუძნებული იყო ბილეგიტიმიზმზე , მონარქიასა და შიიზმზე. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს სამღვდელოების განსაკუთრებულ ისტორიულ როლზე ირანის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

კონსტიტუციური კანონის დამატება, იმ სისტემის გასაღები, რომლის თანახმადაც საკანონმდებლო საქმიანობაზე უნდა განხორციელებულიყო რელიგიურ პირთა კონტროლი, მალევე დავიწყებას მიეცა. ამის განმაპირობებელ მრავალ მიზეზთაგან ერთ-ერთი მთავარი იყო ის, რომ რევულუციის პერიოდში არსებული კავშირი რელიგიურ და სამოქალაქო პირებს შორის მეტად ხანმოკლე გამოდგა და შემდეგ ულემები თანდათანობით ჩამოცილდნენ პოლიტიკურ ცხოვრებას. თავის მხრივ კი, საერო დეპუტატებიც ძალ-ღონეს არ იშურებდნენ , რომ სამღვდელოება პოლიტიკური პროცესებისაგან განერიდებიან.

1905-1911 წლებში რევულუვიის დროს სამღვდელოებისათვის დადგა რევულუციის არსის განსაზღვრის პრობლემა. რელიგიურ ავტორიტეტთა თვალსაზრისით, ეს იყო ბრძოლა ტირანული ძალაუფლების წინააღმდეგ, რათა გამყარებულიყო სამართლიანობის მეფობა (ადალეთ) ისლამის ტრადიციების მიხედვით. მაშინ, როცა საერო რევულუციონერები ლაპარაკობდნენ კანონის

მეფობის შესახებ, თეოლოგები კანონის იდენტიფიცირებას ახდენდნენ საღვთო კანონთან.

I მსოფლიო ომის (1914-1918წწ) ირანში ისევ პოლიტიკაში კვლავ გააქტიურდა პოლიტიკური სამღვდელოება. გასული საუკუნის 20-იან წლებში ირანში გამოჩნდნენ საზოგადოებები და დაჯგუფებები, რომელთა შექმნის ინიციატორებიც იყვნენ პოლიტიზირებული შიიტი სასულიერო პირები . 1919 წელს ირანელმა მოჯთაჰედმა ხარეგანიმ დაარსა „ისლამის კავშირი“, რომლის მიზანსაც შეადგენდა ინგლისელ კოლონიზატორთა განდევნა და „შარიათ“-ზე დაფუძვნენული მუსლიმური წესის მმართველობის აღდგენა , ისეთის როგორიც არსებობდა მოციქულ „მუჰამად“-ის(570-632წწ) დროს , „ისლამის კავშირს“ მხარს უჭერდა სამღვდელობის „ტრადიციული მოკავშირე“ „ბაზრის ხალხიც“.

მეორე მუსლიმური ორგანიზაცია „აჰრარ-ე მოსალმან“ (თავისუფალი მუსლიმები), რომელიც 1922 წელს შეიქმნა და რომლის სათავეშიც მოჯთაჰედი მოჰამად იაზდი იდგა, ძირითადად შედგებოდა მსხვილი მიწისმფლობელი სამღვდელოებისაგან. ისინი ცდილობდნენ აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ქვეყნის მმართველობაში და იყვნენ მეოთხე და მეხუთე მოწვევის მეჯლისის წევრები. „თავისუფალი მუსლიმების“ პროგრამა ითვალისწინებდა ინგლისელთა განდევნას ქვეყნიდან და ისლამური ნორმების ცხოვრებაში ჩანერგვას.

სწორედ ამ ვითარებაში გამოჩნდა პოლიტიკურ ასპარეზზე რეზა ხანი(1878-1944). ის 1921 წლის 21 თებერვალს 3 ათას კაციანი შეიარაღებული სამხედრო შენაერთით შევიდა თეირანში, დააპატიმრა მრავალი ცნობილი პოლიტიკოსი და შაჰს სთხოვდა დაენიშნა პრემიერ-მინისტრად ახალგაზრდა სამოქალაქო რეფორმატორი სეიედ ზია თაბათაბაი. შაჰს სხვა გზა არ დარჩენოდა , გარდა რეზა ხანის ეს წინადადება იძულებით მიეღოთ.[22]

ირანის მთავრობის ახალ კაბინეტში, რეზა ხანი მინისტრად დაინიშნა. მან მიიღო სარდარ სეფაჰის (მთავარსარდალის),თუმცა , სულ მალე იმავე წლის მაისზსი რეზა ხანმა აიძულა სეიედ ზია გადამდგარიყო. მომდევნო ოთხი წლის

[22] .ჭიპაშვილი გ. ,,ირანის სახელმწიფო წყობილება“ , თბილისი 1989 ,გვ. 88-89.

მანძილზე რეზამ უზარმაზარი ძალაუფლების კონცენტრაცია მოახდინა საკუთარ სახლში.

1923 წელს რეზა ხანი უკვე პრემიერ-მინისტრი გახდა.რეზა საჰი პრაქტიკულად ქვეყნის ერთპიროვნული გამგებელი გახდა. ამ დროს მიმსი და ზოგადად ირანული საზოგადოების წინაშე მთელი სიმწვავით დაისვა საკითხი: უნდა შენარჩუნებულიყო მმართველობის მონარქიული ფორმა თუ უმჯობესი იქნებოდა ირანის გარდაქმნა თურქეთის მსგავს სეკულარულ სახელმწიფოდ? რეზა ხანი თავდაპირველად მხარს უჭერდა სეკულარული რესპუბლიკის შექმნის იდეას, რომლის პრეზიდენტიც, ირანის იმდროინდელი სპეციფიკიდან გამომდინარე უსაზღვრო ძალაუფლების მქონე ავტორიტარი მმართველი, თვითოვნე გახდებოდა. ამ მიზნით, 1923 წელს რეზა შაჰმა მთელი ქვეყნის მასშტაბით წამოიწყო რესპუბლიკის დაფუძვნების იდეის პროპაგანდა. 1923 წელს რეზა შაჰმა მთელი ქვეყნის მასშტაბით წამოიწყო რესპუბლიკის იდეის პროპაგანდა. მაგრამ ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში, ულემები წარმოადგენდნენ.

1924 წლის მარტში რეზა ხანმა უარი თქვა რესპუბლიკის შექმნაზე და მალე 1925 წლის 31 ოქტომბერს თეირანის პარლამენტმა გააკეთა ოფიციალური განცხადება უკანასკნელ ყაჯარი მონარქის, უცხოეთში მცხოვრებ ქაჰმად შაჰის დესტიტუციის შესახებ. 12 დეკემბერს კი მეჯლისმა რეზა ხანი ირანის ახალ შაჰად დაასახელა. მონარქიის წინააღმდეგ მეჯლისმა ხმა მისცა ცნობილმა მოჯთაჰედმა მოდარესმა , ჰასან თაყიზადემ, მემარცხენე ნაციონალისტმა იაჰია ოულათაბადიმ და ირანელ ნაციონალისტთა მომავალმა ლიდერმა მოჰამად მოსადეყმა.

ულემთა უმრავლესობას საწინააღმდეგო აზრი არ გამოუთქვამს რეჟიმის შეცვლასთან დაკავშირებით. ტრადიციული ფორმის მონარქიის შენარჩუნება და მათ მინიმუმ იმის გარანტად ეჩვენებოდათ, რომ არ განხოციელდებოდა თურქეთის მსგავსი ექსპერიმენტი.

რეზა ხანის რეფორმებგი შერჩევით ხასიათს ატარებდა , ის მთლიანად აკონტროლებდა პოლიტიკურ სისტემას და მეჯლისი მხოლოდ მისი კანონების უსიტყვოდ დამტკიცებისათვის გამოიყენებოდა. რეზა შაჰმა განსაკუთრებული

პრივილეგიები მიანიჭა სამხედროებს , დაუნიშნა მაღალი ხელფასები, აუშენა მოდური კლუბი თეირანში.

თურქეთის მსგავსად, სეკულარიზაცია რეზა შაჰის მეფობის ცენტრალური კომპონენტი იყო. 1935 წელს ქვეყანას ოფიციალურად ეწოდა ირანი , ირანელი ხალხის არიული წარმომავლობის ხაზგასასმელად. ქვეყნის სახელწოდების გამოცვლასთან დაკავშირებიტ გამოცხადდა, რომ სპარსეთი ასოცირდებოდა მხოლოდ ფარსის პროვინციასთან და ყაჯარული ეპოქის დეკადანსთან , ირანი კი ძველი არიელების სამშობლოს აღმნიშვნელი იყო. ქვეყნისათვის სახელის გადარქმევის პროცესში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს გერმანელებმა, რომლებიც ნაცისტების ხელისუფლების სათავაში მოსვლის შემდეგ უაღრესად გააქტიურდნენ ირანში.

1925 წლიდამ გაუქმნდა მუსლიმური მთვარის კალენდარი , რომელიც ირანული მზს კალენდარმა შეცვალა. ამგვარად მთვარის კალენდრის 1343 წელი იქცა მზის კალენდრის 1304 წლად, ასევე შეიცვალა მუსლიმური თვეების სახელები ძველირანულით.

მნიშვნელოვანი პრივილეგიები მიიღეს ძველი ირანული რელიგიის, ზოროასტრიზმის მიმდევრებმა, რომელთა რიცხვიც სულ 10 ათასს აღწევდა. მათ უფლება მიეცათ გაეხსნათ საკუთარი სკოლები, თეირანის უნივერსიტეტში ისწავლებოდა ზოროასტრელთა წმინდა წიგნი ავესტა და ფალაური ტექსტები.

შაჰი ტოლეტანტობას იცენდა სხვა რელიგიების წარმომადგენლების მიმართ და აუკრძალა მუსლიმ სამღვდელოებას სხვა აღმსარებლობათა მიმდევრების დევნა.

რეზა ხანი ხელს უწყობდა ირანელი ქალის სტატუსის ამაღლებას. ქალიშვილებისთისაც პირველი სახელმწიფო სკოლები გაიხსნა ჯერ კიდევ 1918 წელს , მაგრამ ქალთა განათლების საკითხს სწორედ რეზა შაჰის დროს მიექცა განსაკუთრებული ყურადღება. 1937 წელს ქალები დაუშვეს თეირანის უნივერსიტეტში სასწავლებლად, ჩადრის ტარება 1936 წელს აიკრძალა. მთავრობის მიერ კონტროლიერებადი ირანული გაზეთები პროპაგანდას

უწევდნენ“ქალების გამოღვიძებას“ , მათი საზოგადოებრივი როლის გაზრდასა და დასაქმებას სახლის გარეთ.

ჯერ კიდევ სამხედრო მინისტრად ყოფნი პერიოდში , ითვალისწინებდა რა ულემების უზარმაზარ გავლენას ქვეყნის მოსახლეობაზე რეზა ხანი ცდილობდა მოჯთაჰედების კეთილგაწყობის მოპოვებას. [23]

რეზა ხანი განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდა იმ მოჯთაჰედებს , რომლებიც ნაკლებად იყვნენ ჩაბმულნი პოლიტიკურ პროცესში. ის კეთილგანწყობას იჩენდა აიათოლა ჰაერის აიათოლა ხომეინის მასწავლებლის მიმართ, რომლის მუდმივი რეზიდენციაც ყუმი იყო. აქ მან მედრესე (ფაიზიე) გადააქცია შიიტური განათლების უმნიშვნელოვანეს ცენტრად, მაგრამ აიათოლა ჰაერი არასდროს ერეოდა პოლიტიკაში და ამ თვალსაზრისით არსებული ხელისუფლებისთვის სასურველ პარტნიორს წარმოადგენდა. თუმცა,მისი ხელისუფლების გაგრძელების მოწინააღმდეგე სასულიერო პირების მიმართ რეზა ხანი საკმაოდ დაუნდბლად მოქმედებდა, რაც მკაფიოდ გამოჩნდა მის შემდგომ მოღვაწეობაში-რეზა ხანისთვის მიუღებელი იყო ულემთა პოლიტიკური გააქტიურება.

შაჰად კურთხევდამდე რეზა ხანი , ულემთა მხარდაჭერის მოპოვების მიზნით, 1924 წელს ჩავიდა ყუმში და მოლაპარაკება გამართა ულემებთან , რომლის შედეგიც გახდა უმაღლესი სამღვდელოებებისა და ირანის მომავალი მონარქის ერთობლივი დეკლარაცია.მასში ხაზსგასმული იყო, რომ სამღვდელოება რეზა ხანს მხარს დაუჭერდა რწმენის საფუძვლების განმტკიცებაში, დამოუკიდებლობასა და ეროვნული მთავრობის შექმნაში.

რეზა ხანმა დაარწმუნა ულემები, რომ სულაც არ ქონდა მიზნად თურქული ტიპის რესპუბლიკის შექმნა. იმისთვის, რომ ხაზი გაესვა თავისი მართლმორწმუნეობისათვის , 1924 წელს აგვისტოში შაჰმა , კეთილმორწმუნე შიიტის იმიჯის შესაქმნელად მონაწილეობა მიიღო თეირანის ბაზარში მოჰარამის

[23] ირანის შინაპოლიტიკური ვითარება და საგარეო ურთიერთობანი XIX-ის , დასაწყისში , თბილისი 1984, გვ.67-77.

პროცესიებში.ულემებმა მას იმამ ჰუსაინის ძმის აბასის ლეგენდარული ხმალი უსახსოვრეს, რომლითაც თითქოს და იგი ქერბალასთან იბრძოდა. ვალში რომ არ დარჩენილიყო რეზამ ნაჯაფის მოხილვა განახორციელა და ყველაზე გამოჩენილ მოჯთაჰედებს - მირზა ჰუსაინ ნაინისა და ჰაჯი აბუ ლ-ჰასან მუსავი ისფაჰანის აღუთქვა , რომ ბოლოსდაბოლოს აამოქმედებდა კონსტიტუციის დამატების II მუხლს, რომელიც ითვალისწინებდა პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობის კონტროლს.

რეზა ხანის ირანის ახალ შაჰად გამჯოცხადების შემდეგ მდგომარეობა სრულიად შეიცვალა და არა სამღვდელოების სასარგებლოდ. ე.წ მოდერნიზაციის პირობებში სახელმწიფო აპარატში , მმართველ სტრუქტურებში ულემებისათვის ადგილი აღარ მოიძებდა. ულემებს , რომლებსაც პრაქტიკულად არაფერი გაუკეთებიათ რეზა ხანის აღზევების წინააღმდეგ და ფაქტობრივად ვეტო დაადეს მის მიერ რესპუბლიკის გამოცხადების მცდელობას , აშკარად არ გაუმართლდათ რეზა შაჰის გამეფებასთან დაკავშირებული იმედები.

შაჰის მიზნები მკაფიო იყო :1.სახელმწიფოსგან რელიგიის გამოცალკევება,2.გათიშე და იბატონე. ოპოზიციონერი სამღვდელოების ერთ-ერთი ლიდერი იყო მოჯთაჰედი სეიედ მირზა ჰასან მოდარესი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ირანის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. 1919 წელს იგი ერთ-ერთი პირველი გამოვიდა ბრიტანეთ-ირანის კაბალური ხელშეკრულების კრიტიკით. მოდარესი 1922 წელს მეჯლისში უმრავლესობის ლიდერი გახდა და ხმა აიმაღლა რეზა ხანის ერთპიროვნული მმართველობის შესახებ.

შაჰი იძულებული გახდა სამღვდელოებასთან დათმობაზე წასულიყო , 1927 წელს ყუმში გაგზავნილი დელეგაციის მეთაური, სამეფო კარის მინისტრი აცხადებდა , რომ მთავრობას საკუთარ მოვალეობად მიაჩნია ისლამის დიდებისა და სამღვდელობის ღირსეული მდგომარეობის შენარჩუნება .

რეზა ფაჰლავი ცდილობდა მცირედით შეენარჩუნებინა მთავარი - რეფორმების გზით ქვეყნის ძირეული გარდაქმნებისაკენ აღებული კურსი.

რელიგიური ტრიბუნალების ნაცვლად 1926 წელს დაიწყო ფრანგული მოდელის მიხედვით სამოქალაქო სასამართლოების შემოღება . შარიათის სასამართლო არსებობდა ჩვეულებითი სამართლისა და შაჰის იურისდიქციის პარალელურად.

20-30 იან წლებში მეჯლისმა მიიღო ახალი კანონები, რომლითაც იუსტიიციის სამინისტროსთან შეიქმნა ე.წ შარიათის უწყება. შარიათის სფეროს ექსპერტთა გადაწყვეტილბები კონტროლდებოდა სახელმწიფო ორგანოების მიერ, რომლებსაც გაუქმების უფლება ქონდათ. შარიათის მცოდნე სასულიერო პირების უფლებები მეტად შეიკვეცა. შარიათის მთლიანი ლიკვიდაცია არ მომხდარა . ხაზგასასმელია , რომ ფაჰლავიანთა დროს ემამ-ე ჯომე-ს ლოცვას თავად შაჰი ნიშნავდა მეჩეთში.

1935-40 წლებში კოდექსში შეიტანეს სტატიები საოჯახო ურთიერთობების შესახებ. 1927 წელს გამოიცა ბრძანება , რომლის მიხედვ ითაც ევროპული ტანსაცმლის ტარება სავალდებულო გახდა. ხელისუფლებამ იერიში მიიტანა სამღვდელოების ეკონომიკურ პოზიციებზეც. 1923 წელს მიღებული კანონით საზოგადოებრივი ვაკფების სამფლობელოები გადაეცა განათლების სამინისტროს გასაკონტროლებლად. 1934წლის კანონის განხორციელებამ გამოიწვია სამღვდელოების ეკონომიკური ბაზის მნიშვნელოვანი შეზღუდვა.

ვაკფების შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოართვეს სამღვდელოებას. შაჰის მიზანი იყო კონტროლი დაემყარებინა მეშჰედში სამღვდელოების კუთვნილ ვაკფებზე.

მთავრობამ განსაკუთრები გაამკაცრა პოლიტიკა 1923 წელს აპრილში ყუმის მეჩეთში მომხდარი ინციდენტის შემდეგ, როდესაც მოლების მიერ წაქეზებულმა ხალხმა შეურაცხყობა მიაყენეს შაჰის დედასა და მის მგზავრებს. სამღვდელოება ვერ ბედავდა აშკარა დაპირისპირებას შაჰთან , მათ კი , ვინც პროტესტს ხმამაღლა გამოთქვამდა , ყოველთვის სამაგიეროს უხდიდა მონარქი. 1932 წელს აიკრძალა ჰუსაინის მოწამოებრივ სიკვდილთან დაკავშირებული თაზიეს

სანახაობა.სახელმწიფოს მოწყობის დეკლერიკალიზაციის პროცესი ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს მეჯლისს შეეხო.[24]

2.3 რელიგიური ოპოზიციის გააქტიურება და ისლამური რევულუცია

ავტორიტარულ რეჟიმს, რომელიც თანდათანობით ჩამოყალიბდა XX საუკუნის 50-იანი წლების შემდეგ, რელიგიურ ოპოზიციასთან ურთიერთობისათვის სულ ორ ფორმა ჰქონდა.ერთი იყო რეპრესიები, მეორეს კი წარმოადგენდა ოპოზიციასთან თანაშმრომლობა. ასევე აზრის გამოხატვის თავისუფლებაც თანდათანობით კიდევ უფრო შეიზღუდა.

ყველაზე აქტიური მოძრაობა იყო „ფედაიან-ე ხალყ-ე ირან“ და „მოჯაჰედინ-ე ხალყ-ე ირან. პირველი 1970 წელს შეიქმნა , ხოლო მეორე 965 წელს. ფერეიანი მარქსისტული ორგანიზაცია იყო. ამ ჯგუფების უპირველეს მიზანს შეადგენდა რევოლუციური სიტუაციის შექმნა.

ირანში რელიგიის იდეოლოგიზაციის აუცილებლობას პირველმა ხაზი ლიბერალური პოლიტიკური ისლამის „მამამ“ ინჟინერმა მეჰდი ბაზარგანმა გაუსვა და შესაბამისად, ისლამიზმს დაუდო საფუძველი. იგი იყო პარიზის ცენტრალური სკოლის დიპლომანტი და გავლენა ჰქონდა როგორც ისლამური რესპუბლიკის დამფუძნებლებზე, ისე მათ უპირობო მტრებზე -მოჯაჰედინ-ე ხალხზე.

ბაზარგანისათვის და მიდი მოძრაობისათვის ისლამი განუყოფლად იყო დაკავშირებული ირანთან და წარმოადგენდა ირანული იდენტობის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს.

ბაზარგანის თვალსაზრისით, შიიტურმა სამღვდელოებამ უნდა განახორციელოს კონტროლი ზნეობაზე, მორალსა და პოლიტიკაზე. ვინაიდან რელიგიის სფერო არ ექვემდებარება სახელმწიფოს და რელიგია პოლიტიკაზე

[24] სანიკიძე.გ-შიიზმი და სახელმწიფო ირანში,გვ. 45-55.

მაღლა დგას . სამღვდელოების დანიშნულებაა უკანონობის წინააღმდეგ ხმის ამაღლება, ვინაიდან უკანონობა ყოველთვის თან სდევს მმართველობას.

ბაზარგანის შეხედულებები შეიძლება მივიჩნიოთ რელიგიური მოდერნიზმისა და მოდერნიზებული ნაციონალიზმის შერწყმად. მეჰდი ბაზარგანი ერთადერთი აღმოჩნდა საერო ისლამისტებს შორის, რომელსაც ბედმა მისცა საშუალება ყოფილიყო არა მარტო შაჰის აქტიური ოპოზიციონერი, არამედ ძალები მოესინჯა საკუთარი შეხედულებების რეალიზაციაში.

საერო ისლამისტებს შორის უპირობოდ ყველაზე თვალსაჩინო ფიგურა ალი შარიათი იყო. იგი აღიარებულია თეორეტიკოსად, რომელმაც ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა ირანელი ახალგაზრდობის მომზადებაზე რევულუციური გარდაქმნებისათვის. შარიათის შემოქმედებაში ყოველთვის იგრძნობოდა ორიენტაცია ორ კულტურაზე: მუსლიმურსა და ევროპულზე. შარიათისათვის დასავლეთი კვლავადაც კოლონიალიზმის სიმბოლოდ რჩებოდა, ისლამს კი ადაპტირებადობის უნარის გამო, შეეძლო გაეთავისებინა ის საუკეთესო , რაც ევროპულმა აზროვნებამ შექმნა.

ირანის მოსახლეობის ყველა სოციალურ ფენას შორის მჯონარქიისათვის ყველაზე რთული პოლიტიკური ობიექტტი უპირობოდ სამღვდელოება იყო . ისტორიულად, ულემები შეადგენდნენ ირანის ტრადიციული სახელისუფლებო ელიტის ნაწილს. რელიგიურ სისტემა ნაწილობრივ უზრუნველყოფდა არსებული წესრიგის შენარჩუნებას ტრადიციებისა და საყოველთაო ფასეულობებზე აპელირებით. მოდერნიზაციამ და უცხოური გავლენის ზრდამ კი მძიმე დარტყმა მიაყენა რელიგიური კლასის გავლენას ირანულ საზოგადოებაზე. ულემთა დაპირისპირება დასავლეთისა და მისი მოკავშირე ხელისუფლების მოძალებასთან უპირველესად განპირობებული იყო წინააღმდეგობით ცვლილებებისადმი და ტრადიციული ფასეულობებისა და წესრიგისაკენ შემობრუნების სურვილით. [25]

გასული საუკუნის სამღველოებისათვის ორი უმთავრესი საკითხი იდგა დღის წესრიგსი. პირველი შაჰს არ უწევდა ანგარიშს ისლამურ ტრადიციებს,

[25] Bosworth.E, Iran and Islam , Edinburgh, 1971 , p85.

მაგალითად: ისლამურ საზოგადოებაში ქალების მდგომარეობის თვალსაზრისით მათ ეძლეოდათ საარჩევნო ხმის უფლება და უფრო მოგვიანებით განქორწინების მოთხოვნის უფლება. მეორე-ისლამი სხვა რელიგიებთან გათანაბრებული იყო. რეგიონული და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ ახალი კანონის თანახმად , სასამართლოში ფიცი უნდა დაედოთ არა ყურანზე, არამედ ზოგადად წმინდა წიგნზე, რაც „თეორიულად შეიძლება ყოფილიყო ავესტა, სახარება და ბაბის თხზულებაც კი.

სამღვდელოებამ რადიკალურ უმცირესობას სათავეში აიათოლა ჰაერი მოწაფე, პრაქტიკულად უცნობი ხომეინი ედგა. სწორედ 60-იანი წლების დასაწყისიდან დრამატული ამბებიდან იღებს სათავეს მანამდე პრაქტიკულად უცნობი ულემის, რუჰოლა მუსავი ხომეინის პოლიტიკური კარიერა. ხომეინი პოლიტიკურ ასპარეზზე ქალების თანასწორუფლებიანობის საწინააღმდეგო მოწოდებით გამოჩნდა.

დაპატიმრების მერე, როდესაც ის გამოიშვეს მეორედ გაილაშქრა შაჰის პოლიტიკის წინააღმდეგ. მნიშვნელოვანია , რომ უკომპრომისო ხომეიმის იმიჯის შექმნაში განსაკუთრებული როლი შეასრლა მისმა დაპატიმრებამ და შემგომ ირანიდან გასახლებამ. შაჰმა ხომეინის განდევნით ქვეყნიდან იგი მორწმუნე ირანელთათვის გმირად და მოწამედ აქცია.

გამოჩნდა ხომეინის მსოფლმხედველობა და მისი მიზნები , ასევე გამოვლინდა ხომეინის, როგორც ტაქტიკოსისა და ქარიზმატული ლიდერის თვისებები, ბოლოს ნათელი გახდა, რომ მოსახლეობის ანგარიშგასაწევი ნაწილი მზად იყო გვერდში დადგომოდა სასულიერო ლიდერებს, შაჰის მთავრობის წინააღმდეგ.

1963 წლის მოვლენების შემდეგი 14 წელიწადი სიმშვიდის ხანაა, თუმცა ამ პერიოდიდან მნიშვნელოვანი მოვლენები ხდებოდა. უნდა გამოიყოს მათი ოთხი მთავარი მახასიათებელი : შაჰის მისწრაფება შეექმნა მთავრობის მიერ კონტროლირებული და ულემებისაგან დამოუკიდებელი რელიგიური სისტემა, სასულიერო წრეებში მიმდინარე დებარები ულემთა კორპუსის რეფორმირების

შესახებბ. შაჰის რეჟიმის მცდელობები ხმარებიდან ამოეღო ზოგიერთი არქაული შიიტური კონცეფცია, რის შედეგადაც დასავლურ კულტურას ქვეყანაში შეღწევის უფრო ფართო შესაძლებლობები მიეცემოდა, ასევე ულემთა ნაწილის იატაკქვეშა ოპოზიციური მოღვაწეობის გაგრძელება.

სამღვდელოების მიერ უარყოფითად იქნა შეფასებული ირანული მონარქიის 2500 წლოვანი იუბილეს აღნიშვნა. მოჯთაჰედებმა არაერთი საპროტესტო ტელგრამა გაუგზავნეს შაჰს ამ საკითხთან დაკავშირებით. გამოქვეყნდა აიათოლების მოთაჰარის, რუჰანის, შირაზის წერილები, რომლებშიც ეს ზეიმი XX საუკუნის უდიდეს კომედიად მოინათლა. ხომეინის წერიი კი ფეთვა გახდა. ამ ბოიკოტს და კორპუსის შექმნის წინააღმდეგ პროტესტს 30 ცნობილი მოჯთაჰედის დაპატიმრება მოჰყვა. მიუხედავად ანტიკლერიკალური განწყობისა, შაჰი მაინც იძულებული იყო შეენარჩუნ4ებინა ტრადიციულ სამღვდელოებასთან არსებული კონკორდატი. 1964 წელს ხომეინის ქვეყნიდან განდევნა მოწონებული იყო სამღვდელოების უმრავლესობის მიერ, რომელიც სახელმწიფოს საქმეებში ჩარევას ტრადიციულად უარყოფითად აფასებდა.

1965-1976 წლებში რელიგიური წრეები სარგებლობდნენ სიტყვისა და კავშირების შექმნის შედარებითი თავისუფლებით მეჩეთებისა და რელიგიური შეკრებების ჩარჩოებში. ურთიერთობათა ახალი ეტაპი იწყება 1974 წლიდან ,როდესაც ნავთობის ფასის მომატების შედეგად ირანში დაჩქარებული ვესტერნიზაცია დაიწყო. სამღვდელოების იმ ლოიალურმა უმრავლესობამ, რომელსაც სათავეში აიათოლა შათიათმადარი ედგა, მიიჩნია, რომ სახელმწიფო უკვე ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებებს და საზოგადოება თანდათანობით ზურგს აქცევდა ისლამურ ფასეულობებს.1977 წელს კონკორდატი დაირღვა, სწორედ ამ პერიოდიდან იწყება სამღვდელოების უკიდურესი რადიკალიზაცია. სამღვდელოების მსგავსად, მთლიანად ირანის მოსახლეობაში მატულობდა უკმაყოფილება , იზრდებოდა სოციალური დაძაბულობა.[26]

[26] Bosworth.E, Iran and Islam , Edinburgh, 1971 , p 100.

ისლამის პოლიტიზაციაზე მსჯელობისას, ბუნებრივია პირველ რიგში ამოტივტივდება აიათოლა რუჰოლა ხომეინის სახელი. სწორედ მან მოახერხა კრელიკალური პოლიტიზებული ისლამის ჩამოყალიბება და მისთვის რევულუციური ხასიათის მინიჭება, გახდა ისლამური რევულუციის ქარიზმატიული ლიდერი და მთელი მსოფლიო დააყენა სრულიად ახალი და მანამდე პრაქტიკულად არაპროგნოზირებული რეალობის, ირანში ისლამური მმართველობის დამყარების ფაქტის წინაშე.

ხომეინისთვის მიუღებელი იყო , როგორც დასავლეთი, ისე კომუნისტური სისტემა. 1971 წელს შეიქმნა რელიგიური კორპუსი , რაც კიდევ ერთი მიზეზი გახა ხომეინის პროტესტისათვის. მოგვიანებით ხომეინი ხაზს უსვამდა: მონარქიის პრინციპი ოდითგანვე ეწინააღმდეგება გონივრულ კანონებ , წესებსა და ადამიანის უფლებებს.

ხომეინი ემიგრაციის 1963-78 წლებსი ჩრდილში არ იდგა და არ იყო დაკავებული მხოლოდ თეორილი საკითხების დამუშავებით. შესაძლებელია იგი სხვა ისლამისტებზე ნაკლებად ჩანდა, მაგრამ ხომეინი შეძლებისდაგვარად აქტიურობდა და საკუთარ აზრს, რომელსაც ირანში საკმაო წონა გააჩნდა, გამოთქვამდა ნებისმიერ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხთან დაკავშირებით.

60- იანი წლების ბოლოს ხომეინიმ უარყო დემოკრატიული მმართველობის (ალ-ჯომჰურია) და კონსტიტუციური მონარქიის(ალ -მაშრუთა) პრინციპები. მისი პოლიტიკური თეორიის ამოსავალი პუნქტი სამღვდელოების პოლიტიკური მმართველობა გახდა.

სწორედ ამ პერიოდში იქმნება ხომეინის მთავარი ნაშრომი , რომლის იდეებიც დაედო საფუძვლად ისლამურ რესპუბლიკას. ეს ნაშრომი წარმოადგენდა ხომეინის ორი თეოლოგი სტუდენტის მიერ 1971 წელს ხომეინის ნაჯაფში წაკითხული ლექციების ჩანაწერს და იყო ხომეინის პოლიტიკური აზროვნების რადიკალიზაციის ნაყოფი 1964 წელს. ამ ნაშრომშია ჩამოყალიბებული ველაიეთ-ე ფაყიჰის კონცეფცია. ხომეინიმ ამ ლექციებში მოახდინა სამღვდელოების

თეოკრატიული ძალაუფლების პრინციპების სისტემატიზაცია და ველაიეთე-ფაყიჰი გახდა 1979 წელს ირანის კონსტიტუციის საფუძველი.

ხომეინი ამტკიცებდა, რომ ისლამი არა მარტო ეთიკური რელიგიაა, არამედ ყველა კანონი და პრინციპი გააჩნია, რომელიც აუცილებელია მმართველობისა და სოციალური ადმინისტრირებისათვის. აქედან გამომდინარე ისლამური მმართველობა არის კონსტიტუციური მმართველობა, რომელსაც ყურანი და ტრადიციები გააჩნია კონსტიტუციის სახით.

ხომეინი ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდენოდა კრელიკალური მმართველობის პრინციპების ჩამოყალიბებას და ფაყიჰთა უზენაესობის აღიარებას პოლიტიკის სფეროში. ხომეინი ხაზს უსვამდა ისლამის გლობალურ ხასიათს, მის ყოვლისმომცველობას: „ ისლამი ერთიანი პროგრამაა საზოგადოების სხვადასხვა პრობლემების გადასაწყვეტად. ეს არის მმართველობისა და ადმინისტრირების ფორმა. ინდივიდთა შორის ურთიერთობათა რეგლამენტაცია, დამოკიდებულება სახელმწიფოსა და ხალხს შორის, ურთიერთობა უცხოეთის სახელმწიფოებთან და სხვა სხვა ეკონომიკური თუ პოლიტიკური საკითხები. ინტერესს იწვევს ქრისტიანობ ის ხომეინისეული შეფასება. იგი ქრისტიანობას აღიქვამს , როგორც ინდივიდის პიროვნული სულიერი კავშირის გამოხატულებას უზენაესთან.

1977 წლისათვის ეკონომიკურმა რეცესიამ, ინფლაციამ, შემოსავლებს შორის უფსკრულის ზრდამ, ელიკის გამომწვევად დასავლური სტილის ცხოვრებამ , თავისუფლებებისა და მონაწილეობის შეზღუდვამ , უკიდურესად შეამცირა შაჰის მიერ ნაქადაგები დიადი ცივილიზაციის მიღწევის რწმენა.

გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში და ასევე შუა პერიოდში თითქოს არ ჩანდა მომავალი სოციალური აფეთქების მკაფიო ნიშნები. მრავალი მაჩვენებლით ირანს ლიდერის პოზიცია ეკავა „მესამე სამყარო“-ში.

საერთო ჯამში ისლამური რესპუბლიკის დაფუძვნება მასობრივი მოძრაობის საფუძველზე 1979 წელს , არ იყო პროგნოზირებული მოდერნიზაციის ლიბერალური თუ მარქსისტული თეორიული მოდელებით და ამ მოვლენამ მსოფლიო სრულად ახალი და ჯერარნახული რეალობის წინაშე დააყენა .

დასავლელებისათვის , რომლებიც მიჩვეულნი იყვნენ , 1789, 1830, 1848 წლების რევულუციებში დაენახათ ბურჟუაზიის გამარჯვება ტახტისა და ეკლესიის ალიანსზე . ის , რაც ირანში მოხდა შიიტური სამღვდელოების ალიანსი ბაზრის ბურჟუაზიისა და ინტელექტუალებთან მოდერნიზატორი შაჰის წინააღმდეგ - წარმოუდგენელი და გაუგებარი იყო.[27]

მოსახლეობის უკმაყოფილების მკაფიო ნიშნები 1977 წლიდან გამოჩნდა. გაფიცვებმა მოიცვა ირანის მოსახლეობის თითქმის ყველა ფენა. ულემები იბრძოდნენ დინ-ე დოულათის, რეჟიმის მიერ მიღებული მათი თვალსაზრისით ანტიისლამური კანონების , დასავლური კულტურის შემოჭრის წინააღმდეგ.

დასავლეთი, უპირველესად კი აშშ, საკმაოს პასიურობისას იჩენდა ირანში შექმნილი მდგომარეობის გამო. 70-იანი წლების პერიოდში ირანი აღიქმებოდა რეგიონის ერთ-ერთ ყველაზე სტაბილურ ქვეყნად და ასევე რეგიონში მშვიდობის ერთ-ერთ მთავარ გარანტად. რევულუციის წინა ხანებშიც დასავლეთში არ მიიჩნევდნენ , რომ ირანს უახლოეს მომავალში რევულუციური ძვრები ელოდა.

საერთო ჯამში, უნდა გამოიყოს 1977 წელის დასასრულსა და 1978 წლიდან კრიზისის განმაპირობებელი სამი მნიშვნელოვანი ფაქტორი:

1) შაჰის გადაწყვეტილება წასულიყო გარკვეულ დათმობებზე და რეჟმის საერთო ხასიათი შეეცვალა;
2) რელიგიურ მოღვაწეთა გადაწყვეტილება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაემართა შაჰთან;
3) მთავრობის სიჩქარე და დაუფიქრებლობა ეკონიმიკური პრობლემების გადაწყვეტისას.,,,

1977 წელს ხელისუფლებამ მნიშვნელოვანად შეასუსტა ცენზურა. შესაძლოა ეს იყო კარტერის მოწოდების შედეგი ადამიანთა უფლებების დაცვის შესახებ. ამდენად, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ირანის რევულუციის განხორციელების მიზეზთა შორის არიან კარტერის ადამიანის უფლებების დაცვის პოლიტიკაც. ასევე დიდი იყო საერთაშორისო ორგანიზაციების ზეწოლაც.

[27] კიკნაძე ო. ირანი, გამომცემლობა "მეცნიერება", გვ.75-80.

ცენზურის შესუსტებამ და ადამიანთა უფლებებბის ნაწილობრივმა დაშვებამ კი საშუალება მისცა რეჟიმით უკმაყოფილოებს ხმამაღლა გამოეთქვათ პროტესტი. ისიც გასათვალისწინებელია,რომ შაჰის მოურჩენელმა დაავადებამ ლიმფათიკური კიბოთი შეასუსტა მისი რკინის ხელების ძალა.

1977-78 წლებში დემონსტრანტები სულ უფრო ხშირად გაიძახოდნენ სიკვდილი შაჰს, ამ ვითარებაში შაჰი იძულებული იყო ხელი აეღო სამღვდელოების წინააღმდეგ მიმართული კამპანიისაგან. ხელისუფლებაში მოვიდა მრავალი ახალი, სამღვდელოებისათვის უფრო მისაღები პირი. 8 სექტემბერს სამხრეთ- თეირანის მუშათა უბნებში ბარიკადები აღიმართა. ხელისუფლებამ ამბოხებულთა წინააღმდეგ ტანკები და ვერტმფრენები გამოიყენა . აჯანყებულები მათ მოლოტოვის კოქტეილებით დაუპირისპირდნენ. დამორჩილებაზე უარის შემდეგ თეირანის ჟალეს მოედანზე შეკრებილები ჩაცხრილეს.

მომდევნო კვირათა მანძილზე უნივერსიტეტებში დაწყებულმა გაფიცვებმა მოიცვა სანავთობო მრეწველობა , ბაზრები, კერძო და სახელმწიფო საწარმოები და ა.შ.

შაჰი ხშირად ახასიათებდა შიიტ სამღვდელოებას „შავ რეაქციონერებად“ და შესაძლოა შვეიცარიამ მიღებული განათლების გავლენით, ირანის მრავალ სოციალურ ინსტიტუციაში, ბაზრის ჩათვლით, ხედავდა შუა საუკუნეების გადმონაშთს, რომელიც უნდა აღეგავა პირისაგან მიწისა თანამედრობეობას. უფრო გვიან , 1979 წლის ზაფხულში, მექსიკაში თავშეფარებული შაჰი რევოლუციურ ხელისუფლებას აღწერდა, როგორც „ შუა საუკუნის მმართველობის ზეგავლენის ქვეშ.

მძიმედ დაავადებული შაჰი , მერყეობდა რეპრესიებსა და კონცესიებს შორის, პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლებისს გეგმის ჩათვლით. 1978 წლის 6 ნოემბერს შაჰი შეეცადა თავისი უკანასკნელი კარტის გათამაშებას , მან რადიოთი მიმართა ერს, მე კარგად მესმის თქვენი რევულუციის ხმა, საგულისხმოა , რომ სწორედ მან იხმარა პირველად სიტყვა რევულუცია.

ისლამური რევულუცია , საზოგადოების აჯანყება სახელმწიფოს წინააღმდეგ, შაჰის პოლიტიკითა და ქვეყანაში არსებული სიტუაციით, როგორც აღმოჩნდა უკმაყოფილო იყო ყველა. არც ერთ კლასს არ გაუწევია წინააღმდეგობა რევულუციისათვის ,არც ერთ ორგანიზებულ პოლიტიკურ ძალას არ დაუცავს რეჟიმი.

შაჰის ბედი პრაქტიკულად გადაწყვეტილი იყო. 11 დეკემბერს აშურას დღეს, თეირანის ქუჩებში მილიონზე მეტი ადამიანი გამოვიდა დედაქალაქში სრული ანარქია სუფევდა , ისედაც მოვლენებისგან განზე მდგომ არმიაში დეზერტირეთა რიცხვი სულ უფრო იზრდებოდა. ამ დროისათვის პრეზიდენტ კარტერის მხარდაჭერა შაჰისადმი უკვე აშკარად შემცირდა და მრავალმა ამერიკელმა დატოვა ირანი ამერიკულ ოფისებსა და საკუთრივ საელჩოზეც მიტანილი იერიშების შემდეგ. შაჰმა მთლიანად დაკარგა სიტუაციაზე კონტროლი. 1979 წლის 16 იანვარს მან ქვეყანა დატოვა. 1 თებერვალს კი ხომეინი ტრიუმფალურად დაბრუნდა ირანში.

ხომეინის სამ მილიონამდე ადამიანი დახვდა . აეროპორტიდან ის პირდაპირ ბეჰეშთ-ე ზაჰრას სასაფლაოსკენ გაემართა, რათა პატივი მიეგო რევულუციის ათი ათასობით მოწამისათვის.

რევულუციაში ჩაბმული იყვნენ სრულიად განსხვავებული მიზნების მქონე პარტიული და სოციალური ჯგუფები. რევულუციას არ გააჩნდა პროგრამა , მას მეთაურობდა ავანგარდული პარტია . რევოლუციაში მონაწილე პოლიტიზებულმა სამღვდელოებამ შეძლო, რომლის რადიკალური და საბოლოო ჯამში ტრიუმფატორ ფრთას, აიათოლა ხომეინი ედგა სათავეში.

თანამედროვე ირანში სამღვდელოების პოლიტიკურ პროცესებში ჩაბმის ახსნისას აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ შიიზმს არ გააჩნია ეკლესია ამ სიტყვის სოციოლოგიური მნიშვნელობით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ არ არსებობს მკაცრი და ცენტრალიზებული იერარქია. კლერიკალური წესრიგი მისი უწესრიგობაა. სწორედ ეს უწესრიგობა განაპირობებდა ირანის შიიტურ სამღვდელოებაში შიდა არეულობას , რეალური სუბორდინაციის არ

არსებობას, შესაბამისად სასულიერო ლიდერების პოზიციათა არათამთხვევას რევულუციის პირობებში. ამასთანავე , ზოგადად მოძრაობის უკიდურესი რადიკალიზაციის პირობებში, რომლის ანალოგიური არაერთი მაგალითი არსებობს ისტორიაში , არ არის გასაკვირი რომ მათ შორის ყველაზე რადიკალურმა და ალბათ არა ყველაზე მრავალრიცხოვანმა , მოახერხა ფაქტობრივად ქუჩაში დაგდებული ძალაუფლების სრული უზურპაცია.[28]

შიიტური სამღვდელოება ერთადერთი არასახელმწიფოებრივი სტრუქტურა იყო, რომელსაც სოლიდური ბაზა გააჩნდა მთელი ქვეყნის მასშტაბით და რომელიც ყველასათვის გასაგებ ენაზე ლაპარაკობდა. რადიკალურმა სამღვდელოებამ , ხომეინის მეთაურობით , კი შესხლო ამ ხანებში მონარქიისადმი უარყოფითად განწყობილი მოსახლობის მისაღები და საკუთრივ სამღვდელობისათვის ტრადიცული ფასეულობებისაგან პოლიტიკური პროგრამა ჩამოეყალიბებინა.

ხომეინის არ გააჩნდა რევოლუციური ლენინისტური პარტია, მაგრამ მის ხელთ იყო დისციპლინირებული კადრები. მას არც პროგრამა ჰქონია მკაფიოდ ჩამოყალიბებული. მას შეეძლო გამოეყენებინა მხოლოდ საკუთარი ქარიზმა , ისლამის გამარტივებული რიტორიკა.

[28].ჭიპაშვილი გ. ,,ირანის სახელმწიფო წყობილება“ , თბილისი 1989, გვ.105-110.

თავი III . ირანის ისლამური რესპუბლიკის რთული განვითარება და პრობლემები საგარეო პოლიტიკაში

3.1 ისლამური რეჟიმის კონსოლიდაცია ირანში , რეგიონული და რეგიონს გარეთა საგარეო პოლიტიკური გამოწვევები ქვეყნის წინაშე

1979 წლის რევოლუციის მიზეზი იყო, არა რელიგია, არამედ ეკონომიკური სტაგნაცია. ასევე რეჟიმის კორუმპირებულობა და რეპრესიულობა. ამას ერთვოდა შტატებთან არათანაბარპარტნიონური ურთიერთიერთობის შედეგად ნაციონალისტური გრძნობების გაღვივება. აღსანიშნავია, რომ ამ რევოლუციამ დიდი ძალა შეიძინა ისლამის შიიტური მიმდინარეობიდან. ერთიანობის სიმბოლოდ კი ქარიზმატული ლიდერი , აითოლა რუჰოლა ალ-მუსავი ხომეინი გახდა. მსოფლიოს სხვა რევოლუციებისაგან განსხვავებით , ირანის ისლამური რევოლუცია რეალურად სახალხო რევოლუციად ითვლება. ამ რევოლუციაში მონაწილეობდა მოსახლეობის დიდი რაოდენობა, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით დაახლოებით მოსახლეობის 11%, რაც ყველაზე დიდი რიცხვია.

მეფობის ბოლოს შაჰმა პრემიერ-მინისტრად დანიშნა შაფურ ბახთიარი. მან შეიმუშავა ღონისძიებების პროგრამა, რომელმაც შემოიღო კონსტიტუციური მმართველობის აღდგენა .ხომეინიმ მისი მთავრობა უკანონოდ ცნო , თებერვალს ხომეინიმ პრემიერად მისი იმდროინდელი მოკავშირე მეჰდი ბაზარგანი დანიშნა.

მალე ჩამოყალიბდა რევოლუციური კომიტეტები, რომლებმაც დაიწყეს თავდასხმები, მათ შორის პოლიციის უბნებზე და სავაქ-ის პოლიტიკურ საპატიმრო ევინზე.

11 თებერვალს თეირანის რადიოთი ისტორიული განცხადება გაკეთდა: „ეს არის ირანის ხმა, ხმა ჭეშმარიტი ირანისა, ხმა ისლამური რევოლუციისა.” დასრულდა 53-წლოვანი დინასტიისა და 2500-წლოვანი მონარქიის არსებობა.

პრემიერი ბახთიარი გადადგა . ორი თვის შემდეგ საბოლოოდ დატოვა ქვეყანა.

ხომეინიმ და მისმა მიმდევრებმა თანდათანობით გაამყარეს თავიანთი კონტროლი ველაიეთ-ე ფაყიჰის პრინციპებზე დაყრდნობით, ისლამური ფასეულობების აღორძინებს, მოსამართლეებად დაბრუნების გარდა , მოჰყვა შარიათის საკანონმდებლო ნორმების აღდგენაც. 1979 წლის ზაფხულში ხომეინიმ შექმნა „ისლამური რესპუბლიკური პარტია“.

რეფერენდუმზე ისლამური რესპუბლიკის შექმნის იდეას მოსახლების დიდმა უმრავლესობამ დაუჭირა მხარი, ამით ნიადაგი შეიმნა 73-წევრიანი „ექსპერტთა საბჭოს“ არჩევნებისათვის. ექსპერტთა საბჭოში მთლიანად ხომეინის მიმდევრები დომინირებდნენ ,საბჭოში შევიდა 15 აიათოლა, 40 ჰოჯათოლესლამი და 11 ხომეინის მომხრე საერო პირი.

ქვეყნის მეთაურად ითვლება საყოველთაო არჩევნების საფუძველე 4 წლის არჩეული პრეზიდენტ, რომლის ხელისუფლება შეზღუდულია, მაგალითად : რაჰბარი განაგებს ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს და ნიშნავს არმიის მთავარსარდალს. ირანის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენს მეჯლისი-პარლამენტი, რომელის მაკონტროლებელი ორგანო, თავის მხრივ , ისლამური ზედამხედველობის საბჭოა. ხელისუფლების ამგვარი „გაორება“ და მაკონტროლებელი ორგანოების სიმრავლე იყო და დღესაც არის ირანის პოლიტიკური ცხოვრების სპეციფიკური ნიშანი.

1979 წლის ნოემბერში , სტუდენტების ასოციაციამ მძევლად აიყვანა თეირანში აშშ-ის საელჩოს პერსონალი. 1980 წელს პრეზიდენტად არჩეული აბოლ-ფაზლ ბანი სადრი შეეცადა მოენახა გამოსავალი მძევალთა კრიზისიდან , ასევე აღედგინა კანონიერება და სეკულარული ხელისუფლება. 1981 წელს ხომეინიმ ის გადააყენა. ახალი პრეზიდენტი კი ალი რაჯაი გახდა. ის მალევე დაიღუპა ტერაქტის დროს. ხომეინიმ მძევალთა კრიზისი გამოიყენა რევულუციური აღტკინების შესანარჩუნებლად .

კრიზისი კიდევ უფრო გამძაფრდა პრეზიდენტ კარტერის პერიოდში. მძევლების კრიზისის გამო მიღებული დამცირება, მათი განთავისუფლების

წარუმატებელი ოპერაცია , რიგითი ემერიკელების ირანისადმი უკმაყოფილების წყაროდ იქცა , რაც დღემდე გადაულახავია.

ყველაზე მნიშვნელოვანი საფრთხე მოჯაჰედებისა და ერაყის ახალი პრეზიდენტის სადამ ჰუსაინისაგან მოდიოდა. ხომეინიმ მოჯაჰედებს შეუტია, ტერმინი მოჯაჰედი გამოიყენებოდა მათ მიმართ , ვინც თავიდან ერთგულება გამოუცხადა , შემდეგომ კი უღალატა მოციქულ მუჰამადს. ამ პერიოდში მკაცრი ცენზურ დამყარდა პრესასა და ტელევიზიებზე. საზოგადოებრივი ადგილებიდან წაშალეს ძველი „ირანის შაჰებ“-ის სახელები ,ქალაქ ისფაჰანში „სეფიანთა დროს „(1501-1722წწ)აშენებულ შაჰაბას პირველის ცნობილ მეჩეთს „იმამის მეჩეთი“ უწოდეს. ირანის ქალაქებს გადაარქვეს ფეჰლევების დროინდელი სახელები:მაგალითისთვის ფაჰლავის ეწოდა- ენზელი, რეზაიეს- ურმია, შაჰის-ალიაბადი.

ახალგაზრდა ისლამური რესპუბლიკისათვის მთავარი გამოცდა გადმოდგა ერაყის მიერ გაჩაღებული ომი. ერაყს მანამდეც არაერთხელ მოუთხოვია შატ ელ-არაბის წელზე ორ ქვეყანას შორის საზღვრის გადასინჯვა, რადგანაც არსებული საზღვრის მიხედვით, ნავთობსაბადოების დიდი ნაწილი ირანულ მხარეს იყო მოქცეული. ერაყის ლიდერმა სადამ ჰუსეინმა ჩათვალა , რომ ირანის დამარცხება ამ პერიოდში რთული არ იქნებოდა. 1980 წელს ომი გაჩაღდა. ეს ომი 8 წელს გაგრძელდა, 1979-80 წლებში რევოლუციური ირანი აქტიურ პროპაგანდა ეწეოდა ერაყის შიიტთა შორს სადამის რეჟიმის წინააღმდეგ.

ერაყის ტაქტიკური უპირატესობა დასავლური სახელმწიფოების შედეგი იყო. ომის საწყისი ეტაპი ერაყის უპირატესობით წარიმართა , ირანელთა ზარალი ერაყის მოსაზღვრე სანავთობო რეგიონ ხუზესთანში უზარმაზარი იყო და აქედან ლტოლვითა ტალღა დაიძრა. 1982 წელს ირანელებმა დაიბრუნეს ხუზესთანი. 1984 წელს დაიწყო ე.წ „ტანკერების ომი“, რომლის დროსაც ირანი ცდილობდა არ დაეშვა ყურიდან ნავთობით დატვირთული ტანკერების გასვლა.1988 წელს ამერიკულმა სამხერო გემმა , რომელის ირანულ ტერიტორიულ წყლებში შეიჭრა ირანული სამხედრო კატერების დევნისას , შეცდომით რაკეტა

ესროლა ირანულ სამგზავრო თვითმფრინავს , რომლის შედეგად დაიღუპა 290 მგზავრი .მრავალ ირანელს დღესაც სერა , რომ ამერიკელებმა თვითმფრინავი განზრახ ჩამოადგეს. 1980 წელს გაერო-ს მიერ მიღებული რეზულუცია , ორივე ქვეყანას მოუწოდებდა მშვიდობის აღდგენისკენ , მასში არაფერი იყო ნათქვამი თუ ვინ გააჩაღა ომი. ხომეინიმ ნება დართო პრეზიდენტ ხამენეის , რომ 1988 წლის ივლისში , ირანი თანხომაბას აცხადებდა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

3.2 შაჰის დროინდელ ბირთვულ პროგრამაზე მუშაობის განახლება და მისი ასახვა ირანის ისლამური რესპუბლიკის პრობლემებზე

1974 წელს შეიქმნა ირანის ატომური ენერგიის ორგანიზაცია 1974 წელს შეიქმნა, ამ პერიოდში შემუშავდა 23 ატომური ენერგობლოკის მშენებლობის გეგმა აშშ–სა და ევროპის ქვეყნების მეშვეობით, რომელიც ძირითადად გეგმა 25 წელზე გათლილი და ყოველივე ეს 50 მილიარდ დოლარს წარმოადგენდა.ირანმა ატომური რეაქტორები შეიძინა საფრანგეთისგან, გერმანიის ასევე ამ საკითხში თანამშრომლობდა არგენტინასთანაც.

ირანმა ბირთვული პროგრამის მუშაობა დაიწყო , ბოლო შაჰის მუჰამად რეზა ფეჰლევის დროს.ბირთვულ პროგრამაში ირანის ისლამურ რესპუბლიკას დაეხმარა ევროპის ქვეყნები- საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი და აშშ.

რევულუციური მოძრაობის დაწყება იყო ირანში , რომელმაც აღნიშნულ პროგრამაზე მუშაობას ხელი შეუშალა. ირანი ბირთვულ პროგრამაზე მუშაობას კარგა ხანს ვერ აგრძელებს ,ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო , ირანის ისლამური რესპუბლიკა ბირთვულ პროგრამაზე მუშაობას ანახლებს 1995 წელს, რომელშიც მას ეხმარება რუსეთი.აიგო რამდენიმე ბირთვული რეაქტორი, განსაკუთრებით სამხრეთ ირანში , ბუშერში ყოვივე ამის გამო ირანს აკრიტიკებს ევროპის ქვეყნები და აშშ.

ირანი ამტკიცებდა , რომ მას ბირთვულ პროგრამაზე მუშაობა ჭირდებოდა: ენერგიის წყაროსთვის, ირანი ამბობდა ,ასევე რომ ბირთვული პროგრამა

ჭირდებოდა ღეროვანი უჯრედებისათვის , თუმცა ამის არავის სჯეროდა . სწორედ ეს გახდა სანქციების მიზეზი, რომელიც დაეკისრა ირანს 1995 წლიდან.

ირანს უმძიმესი სანქციები დაეკისრა შემდეგ წლებში: 1995, 2005 , 2009 , 2011 განსაკუთრებით მნიშვნელოვანია , 2009 წლის სანქცია , როდესაც ირანი გგამორიცხეს „SWIP"–დან საერთაშორისო საბანკო ორგანიზაციიდან. ამ პროგრამის გამო ვგულისხმობ ბირთვულ პროგრამას სხვადასხვა სამშვიდობო მოლაპარაკებები გაიმართა , თუმცა უშედეგოდ. განსაკუთრებით სანქციები დამძიმდა ირანისთვის 2005–2013 წლებში მოჰამად აჰმად ნეჟადის დროს.

ბირთვულ პროგრამაზე მოლაპარაკებები განახლდა უკვე ყოფილ პრეზიდენტის ჰასან როუჰანის დროს 2015 წლის 14 ივლისს ჟენევაში ირანსა და 6 სახელმწიფოს შორის-ესენია- აშშ, რუსეთი, ჩინეთი, საფრანგეთი , ინგლისი და გერმანია , ამ პერიოდში სანქციები კიდევ უფრო დამძიმდა. სადაც სანქციები დამძიმდა . ირანს უნდა შეეწყვიტა, ურანის გამდიდრება და გამდიდრებული ურანი გაეტანათ რუსეთში, ამით კი ირანს მოეხსნებოდა სანქციები. სავაჭრო – ეკონომიკური ურთიერთობების გაგრძელება შეეძლებოდა , ეს ძალაში შევიდა 2016 წლისს 16 იანვარს, ამით ირანს მოეხსნა სანქციები , გატანილ იქნა ასევე დიდი რაოდენობით ურანი რუსეთში . ასევ ირანმა დაიწყო ევროპის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების განახლება.

„ბირთვული შეთანხმების" გაფორმების შემდეგ დასავლეთის მიერ ირანის მიმართ დაწესებული სანქციები შეჩერდა, რამაც თეირანსა და ევროპულ ქვეყნებს შორის პოლიტიკური-ეკონომიკური კავშირები აღადგინა. ევროპული კომპანიები ჩაერთვნენ ირანის მანქანათმშენებლობასა და ნავთობის მრეწველობაში. აღსანიშნავია , რომ ირანის მანქანათმშენებლობაში დაბრუნდა „პეჟო", ასევე ირანის მთავარმა მანქანათმწარმოებელმა კომპანიამ დაიწყო მუშაობა ისეთ კომპანიასთან , როგორიცაა „მერსედეს ბენცი",.

აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის ცენტრალურმა ბანკმა სანქციები მოუხსნა ირანის მნიშვნელოვან ბანკ სადერათ-ს. დიდ ბრიტანეთთან და საფრანგეთთან ეკონომიკური კავშირების აღდგენის გამო , ევროპის ქვეყნებში ირანის ექსპორტის

ღირებულება გაიზარდა და 229$ მლნ. გახდა, , ეს მაჩვენებელი 2014 -დან 2016 წლამდე 34,4$ მლნ. შეადგენდა.

ეკონომიკური შეზღუდვების მოხსნის პარალელურად, ევროკავშირი მკაცრად აკრიტიკებდა თეირანს ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით და ამ მხრივ დაწესებულ სანქციებს კვლავ უხანგრძლივებდა.

ეკონომიკური შეზღუდვების მოხსნის მიუხედავა, ევროკავშირი მკაცრად აკრიტიკებდა თეირანს ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით და ამ მხრივ დაწესებულ სანქციებს კვლავ უხანგრძლივებდა.

2017 წელს , აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნევში მონაწილეობას იღებდა დონალდ ტრამპი , ამ პერიოდში დაანონსდა , რომ როდესაც ის გახდებოდა პრეზიდენტი აუცილებლად გადახედავდა ირანთან დადებულ 2015 წლის ბირთვულ შეთანხმებასთან არსებულ ხელშეკრულებას , ის ამბობდა რომ „ეს არის ცუდი ხელშეკრულება , რომელითაც ირანს ეძლებდა საშუალება ბირთვული იარაღი შექმნას“ . როდესაც ის გახდა აშშ-ს პრეზიდენტი ირანს მოუწოდა და სხვა ქვეყნებსაც რომ აუცილებლად უნდა გადაეხედათ ამ ხელშეკრულებისთვის და გაფორმებულიყო ახალი ხელშეკრულება, რომელშიც იქნებოდა სხვა პირობები ჩადებული.საწინააღმდეგოდ წავიდნენ , სხვა ხელმომწერი ქვეყნები ასევე ირანიც. დონალდ ტრამპი ამტკიცებდა , რომ „ისრაელის სადაზვერვო სამსახურის მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე , რომ ირანი არღვევდა ბირთვული შეთანხმებით ნაკისრს ვალდებულებებს და განაგრძნობდა ურანის გამდიდრებას , ამას უარყოფდა ირანიც და საერთაშორისო ატომური ენერგიის „ .აშშ დატოვა ბირთვული შეთანხმება და სხვა ქვეყნებს მოუწოდა ,რომ დაეტოვებინათ, ჰასან როუჰანი მოუწოდებდა , რომ „თუ კი არ დაუბრუნდებოდნენ , ირანიც დატოვებდა და ახალ შეთანხმებაზე საუბარიც ზედმეტი იქნებოდა“ . ეს შეთანხმება 2018 წელს ირანმაც დატოვა .

2018 წელს აშშ-მ დატოვა ირანთან გაფორმებული ბირთვული შეთანხმება“და თეირანის წინააღმდეგ შეჩერებული სანქციები განაახლა.

სანქციები ძირითადად შეეხო ირანის ნავთობის ექსპორტსა და საბანკო სისტემას, ირანი ისევ გამოეთიშა საერთაშორისო საბანკო გაცვლით სისტემას „SWIFT“-ს.

3.3 ირანის ისლამური რეჟიმი ახალი გამოწვევების წინაშე , რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ფონზე

პრეზიდენ მოჰამად ხათამის (1997-2005წწ) მმართველობის პერიოდი ირანისადმი საერთაშორისო თანამეგობრობის შემობრუნებით გამოირჩეოდა. ევროკავშირმა და ირანმა ამ პერიოდიდან დაიწყეს „გლობალური პოლიტიკური დიალოგი“ კომერციული ურთიერთობის გაუმჯობესების პერსპექტივით.

პრეზიდენტი ხათამი ირანის ისლამური რევულუციის პერიოდიდან დაწყებული პირველი პრეზიდენტი იყო, რომელიც ეწვია ოფიციალურად ეწვია დასავლეთს. პირველი ვიზიტისას,რომში 1999წლის მარტში, წარმოადგენილ იქნა მისი საგარეო-პოლიტიკური ხედვები, რომლებიც ემყარებოდა დაძაბულობას და ის მეტ თანასწორუფლებიანობაზე იყო გათვლილი.

მოჰამად აჰმადი ნეჟადის(2005-2013) პრეზიდენტობის პერიოდში, ირანის საგარეო პოლიტიკურმა კურსმა მკაცრი სახე მიიღო, განსხვავებით ხათამის პრეზიდენტობის პერიოდისა.

მოჰამად აჰმადი ნეჟადის ფაქტორი უარყოფითად აისახა ირანის საგარეო პოლიტიკისთვის. ასევე, ირანმა დააჩქარა ბირთვული პროგრამაზე მუშაობა ისევ ეხმარებოდა რადიკალურ ისლამისტურ ორგანიზაციბს პალესტინურ „ჰამასსა“ და ლიბანურ „ჰეზბოლას“. ის ხშირ შემთხვევაში დასავლეთისათვის მიუღებელ პოლიტიკას ახორციელებდა მეზობელ ერაყში. ქვეყნის საერთაშორისო იმიჯზე კი განსაკუთრებული სერიოზული გავლენა მოახდინა მოჰამად აჰმადი ნეჟადის არაერთმა განცხადებამ ისრაელის სახელმწიფოს მოსპობის აუცილებლობის შესახებ .

ირანის რიგით მე-6 პრეზიდენტი მოჰამად აჰმადი ნეჟადი(2005-2013წწ) და მასთან ერთად შიიტური კლერიკალური ელიტა იზიარებდნენ აიათოლა რუფოლა

ხომეინის(1902-1989წწ) მრწამსს, რომ იმპერიალიზმის ძალებით შექმნილი და ისლამური ქვეყნებისათვის თავსმოხვეული ისრაელი „ხელოვნურ წარმონაქმნს წარმოადგენს“.ერაყში არსებულმა მძიმე მწვავე პოლიტიკურმა კრიზისმა, რომელიც 2003 წლიდან დაიწყო, კომპრომისის მიუღწევლობამ პალესტინალა და ისრაელს შორის და არაბული ქვეყნების მმართველების სისუსტემ, ახლო აღმოსავლეთის რეგიონის მასშტაბით შექმნა ისეთი ლიდერის მოთხოვნილება, რომელსაც აშშ-თან და ისრაელთან დაპირისპირების ძალის უნარი აღმოაჩნდებოდა. ქვეყნის მე-6 პრეზიდენტი აჰმადინეჟადი შეეცადა ისლამური სამყაროს სექტანტურ დაყოფაზე მაღლა დაეყენბინა რეგიონის ინტერესები და შიიტური ირანის ქმედებით მოეხიბლა სუნიტი არაბები მმართველები. [29]

ერაყის საკითხთან მიმართებაში, 2007 წლის დასაწყისში გაჩნდა ირანისა და აშშ-ს დაახლოების ნიშნები. ამის მიუხედავად, მალევე გაჩნდა აშშ-ის მთავრობამ წარმოადგინა„დოსიე“,რომლიდანაც ჩანდა,რომ ირანი ასაფეთქებელი მოწყობილობით ამარაგებდა „ამბოხებულებს ერაყში“ერაყში მდგარ საერთაშორისო კოალიციის ჯავშანტექნიკაზე იერიშის მისატანად.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო , რომ 2011 წლიდან ირანის ისლამური რესპუბლიკა სირიასა და ერაყში ისლამისტების გააქტიურების შემდეგ, ეცადა ერთი მხრივ, ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საჭიროებიდან გამომდინარე და მეორე მხრივ, რეგიონში საკუთარი გავლენის შენარჩუნების სურვილის შესაბამისად,აქტიურად ჩართულიყო ახლო აღმოსავლეთის მიმდინარე რთული პოლიტიკური პროცესების განმუხტვაში. ცხადია, რამოდენიმე ათწლეულის განმავლობაში საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ იზოლაციაში მყოფმა ირანმა შეძლო , როგორც რეგიონში საკუთარი მოკავშირეებისათვის აქტიური მხარდაჭერით გავლენის შენარჩუნება და ასევე უფრო მეტიც-გაზრდა. ეს კარგად გამოჩნდა მანამდე ერაყის, სირიის,შემდეგ კი იემენის მოვლენებში მისი ჩართულობითა და შესაბამისად საკუთარი პოლიტიკური ინტერესით გატარებით.

[29] Simon.M, “the battle for bahrain:iranian-saudi rivalry “. Middle east policy council, volume XIX number 2: https://www.mepc.org/battle-baharain-iranian-saudi-rivalry(30.05.2021)

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ახლო აღმოსავლეთში ტერორიზმის გააქტიურებამ გავლენა სერიოზული გავლენა იქონია, რეგიონის უსაფრთხოებაზე. თეირანიდან ინტენციურად პერმამენტულად ჟღერდება პოზიცია რეგიონში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, იქიდან გამომდინარე, რომ ირანს სერიოზული პრეტენზია აქვს რეგიონში ლიდერობაზე.ეს ტენდენცია ირანში განსაკუთრებით გამოიკვეთა 2013 წლიდან ზომიერი პოლიტიკოსის, უკვე ყოფილი პრეზიდენტის ჰასან როუჰანის(2013-2021წწ) პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, რომელმაც ეფექტურად დაიწყო დასავლეთთან ურთიერთობების დარეგულირების პროცესი . ირანი, ტერორიზმთან ბრძოლის აუცილებლობის ხაზგასმით, შეეცადა ბირთვული პროგრამასთან დაკავშირებით დასავლეთთან ურთიერთობების კიდევ ერთი დაახლოების გამოკვეთოს კიდევ ერთი რეალური პერსპექტივა. ამ მიმართებით ირანისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი აშშ,რომელიც ინტენსიურად არის ჩართული ჩემთვის საკვლევი რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებშიახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში.

2015 წელს ირანსა და ექვს სახელმწიფოს შორის ბირთვულ პროგრამაზე მიმდინარე მოლაპარაკებების შედეგად და მხარეებს შორის მიღწეულ იქნა ჩარჩო შეთანხმება . ამით თეირანის მხრიდან გაგზავნილ იქნა მესიჯი აშშ-სა და დასავლეთის მიმართულებით. იმავე წლის 20 აპრილს „ნიუ იორქ თაიმს-ში“ გამოქვეყნდა ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მ.ჯ ზარიფის სტატია „გზავნილი ირანისაგან“. „ამ ქვეყნის პირველი დიპლომატი ზარიფი, თვლიდა რომ ირანის ბირთვულ პროგრამაზე მოსალოდნელი შეთანხმებისათვის მასში ჩართული მხარეების მიერ უფრო მეტი პოლიტიკური სურვილია საჭირო. ირანმა კი უკვე აჩვენა თავისი გადაწყვეტილება და აირჩია ჩართულობის და მოქნილობის პოლიტიკა. ირანის პირველმა დიპლომატმა მოუწოდა აშშ-ს და მის დასავლელ პარტნიორებს გაეკეთებინათ არჩევანი თანამშრომლობასა და იძულების ტაქტიკას შორის“.

ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ორ მნიშვნელოვან მოთამაშეს საუდის არაბეთსა და ირანს შორის დაპირისპირება, რომლის მიზეზიცაა კონკურენცია

გავლენის გასავრცელებლად რეგიონში, ახლო აღმოსავლეთის უსაფრთხოებისა და აქ მიმდინარე კონფლიქტებზე სერიოზულ გავლენას ახდენს. ხაზი უნდა გაესვას იმ მნიშვნელოვან ფაქტორს, რომ რელიგია და პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ერთმანეთისაგან ყოველთვის მჭიდროდაა დაკავშირებული.

საკუთრივ ისლამის შიგნით არსებული სხვაობა კი რეგიონის პოლიტიკურ მიდგომებზე მნიშვნელოვნად აისახება. საუდის არაბეთი სუნიტური ქვეყანაა და აქედან გამომდინარე, სუნიტების დამცველად წარმოადენს თავს. შიიტური ირანი კი მოკავშირეებს იკრებს ლიბანში, იემენში, სირიაში, ბაჰრეინში, ერაყში. საუდის არაბეთსა და ირანს შორის კონფენსიურ პოლიტიკურ-იდეოლოგიური განსხვავებებიდან გამომდინარე ეს ქვეყნები ეჭვქვეშ აყენებენ ერთმანეთის ლეგიტიმურობას.

ამ ორ ქვეყანას შორის კონფენსიური დაპირისპირება პერმამენტულად იზრდებოდა, რაც დაკავშირებულია საუდის არაბეთისა და ირანის მხრიდან რეგიონშიგავლენისა და ძალაუფლების მოსაპოვებლად .

კონკურენცია საუდის არაბეთსა და ირანს შორის ახლოღმოსავლეთის სხვა ქვეყნებშიც რელიგიური დაპირისპირების მკვეთრ ზრდასაც შეუწყო ხელი .

საუდის არაბეთი არაბულ სამყაროში დომინანტურ მდგომარეობაშია, რასაც ხელს უწყობს მის ტერიტორიაზე არსებული მუსლიმთა წმინდა ადგილლების - მექასა და მედინას არსებობა და ამ ქვეყნის მიერ ასევე ნავთობის მდიდარი რესურსების ქონა . რაც შეეხება ირანს - ისლამური რევოლუციის (1999წ) შემდეგ ეს ქვეყანა ცენტრალიზებულ ისლამურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა თავისი ძლიერი ძალოვანი სტრუქტურითა და ისლამური კანონმდებლობით .

ირანი ბუნებრივი რესურსებით და სამხედრო - პოლიტიკური გავლენით მნიშვნელოვან რეგიონულ ძალას ახლო აღმოსავლეთში. რეგიონის მიმართ მის მდგომარეობას განსაზღვრავს იდეოლოგიური მისწრაფებები, კულტურული ნიშან-თვისებები, ნაციიონალისტური ნარატივი და ისლამური წარმომავლობა.

მემარჯვენე კონსერვატული საუდის არაბეთი ეჭვქვეშ აყენებს შიიტური რეჟიმის ლეგიტიმურობას ირანში, რაც ამ ქვეყნის ანტირანულ განწყობას უწყობს ხელს. არც ირანის რეჟიმი არ აღიარებს საუდის არაბეთში მონარქიულ მმართველობას და მას ისლამის საწინააღმდეგო სისტემად მიიჩნევს. უფრო მეტიც, ირანი საუდის არაბეთს ხშირად ადანაშაულებს აშშ - სადა ისრაელთან თანამშრომლობით მუსლიმების წინააღმდეგ მოქმედებაში .[30]

ერ-რიადი თავის უმთავრეს მეტოქედ შიიტურ ირანს იმიტომ მიიჩნევს, რომ თეირანი ეხმარება საუდის არაბეთის მთავრობის მიმარტ მისი ქვეყნის ტერიტორიაზე ოპოზიციურად განწყობილ შიიტებს (ალ-ჰასას პროვინციაში შიიტები უმრავლესობას შეადგენენ). ირანი ეხმარება შიიტებს ასევე ბაჰრეინში, ერაყში და იემენში. ის ასევე მხარს უჭერს სირიაშ ბაშარ ალ-ასადის რეჟიმს, რომელსაც საუდის არაბეთი მტრად მიიჩნევს .

საუდის არაბეთისა და ირანის დაპირისპირების მიზეზად ახლოთიერთობათა ც აღმოსავლეთში დომინანტური პოზიციისა და გავლენის გაძლიერების მოსაპოვებლად ბრძოლას მივიჩნევთ. აქვე იმასაც შევნიშნავთ, რომ ამ ორ ქვეყანას მრავალწლიანი კონკურენცია აკავსირებთ რეგიონში გავლენის მოსაპოვებლად და რომ ეს წინააღმდეგობა მათ შორის ბოლო წლობში არ განვითარებულა. რადგანაც საუდის არაბეთისათვის ირანი ერთერთი უმთავრესი კონკურენტია რეგიონში, ამიტომაცაა რომ 2017წ ერ-რეადში მოიწონეს დონალდ ტრამპის ანტიირანული პოზიცია, რასაც მან უწოდა (რეგიონში ისლამურ რადიკალიზმთან და ტერორიზმთან ბრძოლის გაძლიერება).

უკვე ავღნიშნეთ, რომ საუდის არაბეთს შორის და ირანს დაპირისპირებით მრავალწლოვანი ისტორიააქ, მაგრამ ჩვენ ყურადღებას ავამხვილებთ ბოლო რამდენიმე წლებშ განვითარებულ მოვლენებზე.

უახლესი პერიოდის საუდის არაბეთსა და ირანის დაპირისპირებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმ ცალკეულმა კონფლიქტებმა რომლებიც 2011 წ დან დღემდე მიმდინარეობს ახლოაღმოსავლეთში. კონკრეტულად ესენია ; 2011წ

[30] Lorenzo.V, How real is the threat of returning IS fighters? BBC, October 23,2017)

ბაჰრეინის საპროტესტო ტალღა ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით, იემენის სამოქალაქო ომი , ურთიერთობასთნ ცვლა ლიბანის ხელისუფლებასთან , ერაყშ არსებული არასტაბილური პოლიტიკური ვითარება

სანამ უშუალო ზემოთ ჩამოთვლილ პრობლემებს განვიხილავდეთ მოკლედ შევნიშნავთ რომ ჯერ კიდევ 1990წ ირანმა სცადა საერთაშორისო იზოლაციის გაღღვევა და მეზობელ არაბულ ქვეყნებთან კონტაქტის ხელახლა დამყარება.

ამ მხრივ ირანისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 1991წდიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა საუდის არაბეთთან.თუმც მათ შორის ურთიერთობა ძალიან შორს იყო „მეგობრულისაგან“ საუდის არაბეთსადა ირანს შორის 2017 წ ისევ გაწყდა დიპლომატიური ურთიერთობა. ამის მიზეზი გახდა თეირანში საუდის არაბთის საელჩოზე აღტკინებული ბრბოს თავდასხმა, რისი პროვოცირებაც თვის მხრივ გამოიწვია საუდის არაბეთის მიერ თავისი მოქალაქის, 1 შიიტი ღვთისმეტყველის სიკვდილით დასჯა. ეს იყო ერთი უმთავრესი მიზეზი იმისა რომ დონალლდ ტრამპის ანტიირანულ პოლიტიკას კმაყოფილებით რომ შეხვდა საუდის არაბეთი. იმავე პერიოდში შეიქმნა ანტი ირანულად განწყობილი არაბული ქვეყნების კოალიცია რომელშიც საუდის არაბეთან ერთად ბაჰრეინი გაერთიანებული არაბული საამიროებიც შედიან.

ბაჰრეინის მოსახლეობის უმეტესობა შიიტია. ქვეყანას კი სუნიტი ალ-ხალიფას საგვარეულო დინასტია მართავს სუნიტი მმართველების უკმაყოფილოა ბაჰრეინის შიიტი მოსახლეობა, რომლებიც ხელისუფლებას სხვადასხვა სახის დისკრედიტაციაში დებენ ბრალს. ისინი 2011წელს, არაბული გაზაფხულის დროს ითხოვდნენ სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ასევე მათ მოთხოვნაში შედიოდა საკონსტიტუციო ცვლილებები და პრემიერის გადადგომა. ი.ბაჰრეინში შიიტების გამოსვლები მიმართული იყო სუნიტი მმართველი ალ-ხალიფას დინასტიის წინააღმდეგ

რადგანაც ისტორიულ, თუ კულტურული ფაქტორების გათვალისწინებით ბაჰრეინის შიიტი მოსახლეობა კვლავაც დიდია მძიმე ამიტომ ქვეყანაში

საპროტესტო ტალღის აგორებაში ბაჰრეინის ხელისუფლება ირანს დასდო ბრალი. თეირანი ამ ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს.

საუდის არაბეთმა კი ბაჰრეინში ამ გამოსვლების ჩასახშობად „სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოს“ ეგიდით ჯარი შეიყვანა ბაჰრეინი საუდის არაბეთთან და გაერთიანებულ არაბულ საამიროებთან ერთად დღემდე მიიჩნევენ რომ ირანი ძალით დაეუფლა სამ სადავო კუნძულს .

არაბული ქვეყნებიდან ახლო აღმოსავლეთში ირანისათვის პოლიტიკური გავლენის საუკეთესო მაგალითს ლიბანი წარმოადგენს. ლიბანში 1982 წელს ისრაელი ინტერვენციის და ამ ქვეყნის სამხრეთ ნაწილის ოკუპაციის შემდეგ შიიტმა მუსლიმებმა შექმნეს წინააღმდეგობის მოძრაობა (ჰესბოლა) რომლის მიზანიც ლიბანის სამხრეთ ნაწილის ებრაელთაგან განთავისუფლება და ისლამური სახელმწიფოს შემნა იყო. უნდა აღინიშნოს, რომ „ჰესბოლას“ ფინანსურად ლოჯისტიკურად ირანი უზრუნველყოფს. ამ ორგანიზაციის პირველი მებრძოლი ირანის ისლამური რევულუციის მცველთა კორპუსში მომზადდა. ირანი ჰესბოლას განიხილავდა დაახლაც განიხილავს ახლო აღმოსავლეთში თავის გავლენის გავრცელების საშუალებად. „ჰესბოლა“ გამოირჩევა პროირანული საგარეო პოლიტიკით ის ირანთან ერთად ჩართულია სირიის კონფლიქტში ბაშარ ასადის მხარეს. „ჰესბოლა მხარს უჭერს ერაყის შიიტურ არმიას და იემენში ამბოხებულ ჰუთიებს.

მოკლედ ავღნიშნავთ , რომ „ჰესბოლას“ იდეოლოგია დაეფუძვნა აიათოლა ხომეინის პრინციპებს. დროთა განმავლობაში ეს ორგანიზაცია მემარცხენე პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბდა „ჰესბოლა“ დღემდე ირანის სულიერი ლიდერის წინაშე დადებული „ერთგულების ფიცს“ იცავს. „ჰესბოლა“ უკვე კარგა ხანია დაწინაურებულია ირანის პოლიტიკურ ცენტრში. უფრო მეტიც მან შექმნა „სახელმწიფო სახელმწიფოში“. ლიბანის პოლიტიკურ ცხოვრებაში „ჰესბოლა“ ჩამოყალიბებიდან ჩაერთო მან მონაწილეობა მიიღო საპარლამენტო არჩევნებში ამ მხრივ „ჰესბოლა“ შემდგომ წლებში აქტიობა . ეს ორგანიზაცია მოსახლეობას უგვარებს იმ სოციალურ პრობლემებს, რომლებსაც ლიბანის ხელისუფლება ვერ

აგვარებს . ამან გაზარდა მოსახლეობაში „ჰესბოლას“ ავტორიტეტი . „ჰესბოლას“ სამედიცინო დაზღვევის პროგრამა გაცილებით იაფია მოსახლეობისათვის , ვიდრე ლიბანის სახელმწიფოს ანალოგიური პროგრამა „ჰესბოა“ სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ და საგანმანათლებლო პროგრამებსა ანხორციელებს ირანის დახმარებით . მისი ეს პროგრამები ხელმისაწვდომია არამარტო შიიტებისათვის არამედ ნებისმიერი პირისათვის მათი პოლიტიკური და რელიგიური კუთვნილების და მიუხედავად. „ჰესბოლა“ ირანის რევოლუციის მცველთა კორპუსთან შეთანხმებით ასადის ხელისუფლების დასახმარებლად სირიის კონფლიქტში ჩაერთო, რითაც გაიზარდა მისი გავლენა რეგიონულ დონეზე. 2016 წელს „სპარსეთის ყურის ტანამშრომლობის საბჭომ“ მოსთხოვა ოფიციალურ ბეირუდს „ჰესბოლა“ ტერორისტულ ორგანიზაციად ეღიარებია რაზეც ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა. ამის გამო საუდის არაბეთმა ლიბანს ფინანსური დახმარება შეუწყვიტა. 2017 წლის ნოემბერში ლიბანის სუნიტმა პრემიერმა საადჰარირიმ საუდის არაბეთიდან გააკეთა განცხადება გადადგომის შესახებ . ეს მიზნად ისახავდა ლიბანში „ჰესბოლასა“ და ამასთან გავლენის შესუსტებას და საუდის არაბეთის გავლენის გაზრდას ამ ქვეყანაში. ლიბანის პრემიერმა განაცხადა რომ ჰესბოლა და ირანი რეგიონის დესტაბილიზაციას უწყობენ ხელს. ლიბანის პრეზიდენტმა მიშელ ოუნიმ არ დააკმაყოფილა პრემიერის განცხადება გადადგომის თაობაზე , რადგანაც მისი აზრით საად ჰარირი ერ-რიადის ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდა . მან ეს არგუმენტი იმით გაამყარა რომ საად ჰარირის ოჯახს დიდი ხნის ბიზნესს საქმიანობა აკავშირებს საუდის არაბეთან .აქდან გამომდინარე მ.ოუნიმ ს.ჰარირი ერ-რიაგში შინაპატიმრობაში მყოფად მიიჩნია და მისი გაკეთებული განცხადებაც საუდის არაბეთიდან ზეწოლის შედეგად ჩათვალა. [31]

როგორც უკვე ავღნიშნეთ საუდის არაბეთი ლიბანში ირაისა და „ჰესბოლას“ გავლენის შესუსტებას ცდილობს. საუდის არაბეთი შეეცადა გამოეყენებუნა ს ჰარირის განცხადება ლიბანელი მოსახლეობის უარყოფით განწყობაზე ჰესბოლას წინააღმდეგ

[31] გაჩეჩილაძე.რ ახლო აღმოსავლეთი . თბილისი, 2019. გვ 150-155.

მაგარმ ასე არ მოხდა . ლიბანში ერთსულოვნება იყო იმ მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომ პრემიერ ს.ჰარირის განცხადება არ ყოფილა მიმიმართ მიღებული რასაც ამტკიცებდა გარემოებებიც და ს ჰარირის უჩვეულო საუბრის სტილიც . აშშ სა და საფრანგეთის შამავლობით ლიბანის პრემიერ-მინისტრი ს.ჰარირი საუდის არაბეთიდან სამშობლოში დაბრუნდა . ის იმ პირობით დააბრუნეს რომ „ჰესბოლა“ იემენემ ჰუთიესბთან კავშირს შეწყვეტდა და ლიბანში ანტისაუდური რიტორიკა შეწყვეტდებოდა ,მაგრამ ეს ჩანაფიქრი არგანხორციელდა . საად ჰარირი პრემიერობიდან გასული წლის ოქტომბერში მაინც გადადგა.

საუდის არაბეთმა ლიბანში ანტი საუდური განწყობის და პროირანული ორიენტაციის შესასუსტებლად სხვა მიმართულებითაც იმუშავა თუმცა აქაც უშედეგოდ. ლიბანელი პოლიტიკოსების განცხადებით საად ჰარირის გარდა საუდის არაბეთს ლიბანის დესტაბილიზაციის სხვა გეგმაც ქონდა. კერძოდ, პალესტინელი ლტოლვილები უნდა დაეპირისპირებინა „ჰესბოლასთან“. არც ეს გეგმა განხორციელდა. „ჰესბოლასა“ და პალესტინელი ლტოლვილების დაპირისპირება რთული საქმეა. ამრიგად საუდის არაბეთის დიდი მცდელობის და მიუხედავად ლიბანში ვერ მოხდა „ჰესბოლას“ ავტორიტეტის შერყევა და ვერც ირანის გავლენის სჰესუსტება ლიბანში. აქედან გამომდინარე, ლიბანში წინაამღდეგობა ირანსა და საუდის არაბეთს შორის ისევ რჩება.

1925 წლიდან, მას შემდეგ რაც ერაყმა დიდი ბრიტანეთისაგან მოიპოვა დამოუკიდებლობა, ხელისუფლებისაგან დაპირისპირება სუნიტებსა და შიიტებს შორის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ერაყის პოლიტიკაში. ეს იქიდან გამომდინარეობს რომ ამ ქვეყანაში უმცირესობაში მყოფი სუნიტები აღმოჩნდნენ ხელისუფლებაში, რომლებიც ახდენდნენ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობაში მყოფი შიიტების დისკრიმინაციას. ამის გამო ათასობით ერაყელი შიიტი ირანშ გადადიოდა. შიიტების შევიწროება ერაყში 2003 წლამდე გაგძელდა . ამწელს კი აშშს ინტერენციის შედეგად ხელისუფლებას ჩამოშორდა სადამ ხუსაინი, რის შედეგადა ერაყის ხელისუფლებაში თანდათან შიიტები მოვიდნენ ერაყის შიიტური მთავრობა კი მოექცა მეზობელი ირანის გავლენის ქვეშ რაც მიუღებელი

აღმოჩდა საუდის არაბეთისთვის ერაყის მოქმედი ხელისუფლება პრემიერ ჰაიდარ ალ-აბადის ხელმძღვანელობით აქტიურად თანამშრომლობდა აშშ-სთან მაგრამ მასზე ირანის გავლენა ძლიერი აღმოჩდა. ერაყში ირანის მიერ მხარდაჭერილი შიიტური რაზმების ყოფნამ ქეყანაში უკმაყოფილება გამოიწვია. ამიტომაც პრემიერმა ალ აბდიმ 2016 წელს ეს რაზმები ოფიციალურად შეიყვანა ქვეყნის შეიარაღებული ჯგუფების შემადგენლობაში. ერაყის პრემიერმა აღნიშნული გადაწყვეტილება „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში მათი წვლილით ახსნა . რეალურად კი ეს ერაყში ირანის ძლიერი გავლენის მაჩვენებელია .

2018 წლის მაისში საპარლამენტო არჩევნებში ერაყში შიიტმა სასულიერო პირმა მოჯთადა ალ-სადრამ გაიმარჯვა . ის არის არამარტო აშშ ს პოლიტიკის ცნობილი ოპონენტი , არამედ ასევე ეწინააღმდეგება ერაყის საშინაო პოლიტიკაში სხვა რომელიმე ქვეყნის და მათ შორის ირანის ჩარევასაც . 2017 წელს ალ-სადრის ვიზიტებმა საუდის არაბეთში და არაბთა გაერთიანებულ საამიროებში გააჩინა მოსაზრება, რომ არაბული ქვეყნები ერაყელ გავლენიან სასულიერო პირს და მის მიმდევრებს გამოიყენებდნენ ამ ქვეყანაში ირანის გავლენის შესასუსტებლად. რეაურად ასე არმომხდარა არაბული ქვეყნების იმედები გაცრუებულ იქნა.

2018 წლის ზაფხულში ერაყის სამხრეთით ქალაქ ბასრაში დაიწო საპროტესტო გამოსვლები . ამ გამოსვლებში საუდის არაბეთი და ირანი ერთმანეთს ადანაშაულებდნენ ეს საპროტესტო ტალღა ერაყში არსებული სოციალური პრობლემის გამო დაიწყო დემოსტრანდები ასევ ერაყის საქმებში ირანის ჩარევასაც აპროტესტებდნენ. მათი აზრით ირანი მაღალ ჩინოსან ერაელ მოხელეებს ეხმარებოდნენ. თეირანის განცხადებით ბასრაში ანტი ირანული განწყობის გაღვივებაში ბრალი საუდის არაბეთს მიუძღვის. მ.ა ერაყში ირანის პოლიტიკური გავლენა საკმაოდ მნიშვნელოვანია.

საუდის არაბეთისა და ირანის დაპირისპირების ერთერთი თვალსაჩინო მაგალითია ლეგიტიმურ ხელისუუფლეასა და ჰეთიებს შორის იემენში მიმდინარე კონფლიქტი. მოვლენები იემენში განვითარდა 2011 წლიდან არაბული

გაზაფხულის შედეგად. ამ დროიდან იმენში დაიწყო საპროტესტო გამოსვლები, რომელიც თანდათნ სამოქალაქო ომში გადაიზარდა და დღემდე გრძელდება. ამ ქვეყანაში მთავარ დაპირისპირებულ მხარეს მიმდიარე კონფლიქტში წარმოადგენს იემენის ლეგიტიმური უფლება და პოლიტიკური გაერთიანება (ანსან ალაჰ)-ი , რომელშიც გაერთიანებულიარიან შიიტური სექტა ზაიდიზმის მიმდევარი ტომობრივი გაერთიანები ჰუთიები.

ქვეყნის პრეზიდენტ მანსურ ჰადით უკმაყოფილო ამბოხებულმა ჰუთიებმა 2013 წელს პრეზიდენტის ადმინისტრაცია და ქვეყნის დედაქალაქი სანაა დაიკავეს და პარლამენტიც აიღეს. სანაა დან წამოსული პრეზიდენტი მანსურ ჰადი ქვენის სამხრეთში ქალაქ ადენში გადავიდა ,სადაც განთავსდა იემენის ლეგიტიმური მთავრობა . ამის შემდეგ იემენის პრეზიდენტი საუდის არაბეთის დედაქალაქ არ-რეადში წავიდა. იემენის დედაქალაქს და სახელმწიფო ინსტიტუტებს 2015 წლიდან ჰუთიები მართავენ .[32]

ჰუთიებისათვის ფინანსურ და სამხდრო დახმარებაში საუდის არაბეთი და აშშ ირანს დებენ ბრალს, რადგანაც ისინი შიიტური სექტის წარმომადგენლები არიან. საუდის არაბეღის განცხადებით ირანი ერითრეის კუნძულებზე არსებულ ბანაკებში ამზადებდა ჰუთიებს, ხოლო შეიარაღებას ერითრეის დახმარების თანახმად აწვდიდა მათ ირანი აცხადებს რომ ის ამბოხებულ ჰუთიებს ოლიტიკურ დახმარებას უცხადებს მაგრამ მატერიალურ და სამხედრო დამარებას არუწევს მათ. აქვე ავღნიშნავთ , რომ 2015 წელს გაეროს მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით 2009 წლის დასაწყისში ირანი ჰუთიებს ეხმარებოდა როგორც ფინანსურად ისე შეიარაღებითაც . ეს იყო იემენში სმაოქალაქო ომის დაწყებამდე და მითუმეტეს ქვეყნის პრეზიდენტის დედაქლაქიდან წასვლამდე რამდენიმე წლით ადრე.

2015 წლის მარტში საუდის არაბეთმა ჰუთიების წინააღმდეგ სამხედრო ინტერვენცია განახორციელა იემენში საუდის არაბეთი მათ საჰაერო იერიშებით უტევდა . ამის პარალელურად კოალიცია ერ-რიადმა არაბული კოალიციაც შექმნა

[32] გაჩეჩილაძე.რ ახლო აღმოსავლეთი . თბილისი, 2019. გვ 135-145.

ჰუთიების წინააღმდეგ. იემენში ამბოხებულების წინააღმდეგ საუდის არაბეთის მიერ განხორციელებულ ოპერაციებს სახელწოდებით „გადამწყვეტი შტორმი“ და „იმედების აღდგენა“ საუდის არაბეთის თავდაცვის მინისტრი პირადად ხელმძღვანელობდა . მიუხედავად საუდის არაბეთის ტახტის მემკვიდრის მუჰამად ბინსანმადის დიდი სურვილის და ამბიციების მიუხედავად, სუედელებმა ვერ შეძლეს თავისი მოკავშირე რეჟიმის აღდგენა იემენში რაც, ამ ქვეყანაში ირანის პოლიტიკური გავლენის უდავო შენარჩუნებაა.

საუდის არაბეთს იემენში მისადმი ლოიალურად განწყობილი სუნიტური მთავრობა უნდა, რათა თავის საზღვრებთან არ დაუშვას პროირანული განწყობილი მტავრობა. უნდა აღინიშნოს, რომ იემენში მიმდინარე სამოქალაქო ომი საფრთხეს უქმნის საუდის არაბეთის უსაფრთხოებას ერ -რეადის ხელმძღვანელობით იემენში მოქმედ არაბულ კუალიცია ჰუთიებს სარაკეტო დავდასხმებით პასუხობენ . საუდის არაბეთის განცხადებით სარაკეტო სისტემებ[33]ი ჰუთიებს ირანი ამარაგებს. ამ მოსაზრებას აშშ იზიარებს.

2017 წლის დეკემბერში აშშ-ს მაშინდელმა ელჩმა გაეროში ნიკი ჰეილიმ სპეციალურ პრეზენტაციაზე საუდის არაბეთში ჩამოგდებული რაკეტა წარადგინა, როგორც ირანის დანაშულის მტკიცებულება. აშშ ს მიერ წარდგენილი მასალა არასაკმარისად ჩათვალა რუსეთმა , რომელმაც მორიგი ვეტო დაადო აღნიშნული ფაქტის გამო ირანის წინააღმდეგ შემუშავებუ რეზოლუციას.

გასული წლის შემოდგომაზე საუდის არაბეთის ნავთობ საბადოები დაბომბა უთიებმა, რითაც სერიოზული ზიანი მიაყენა ამ ქვეყანას. ამფაქტმა ნავთობის ფასების ზრდაც კი გამოიწვია მსოფლიო ბაზარზე ჰუთიების აღნიშნული ქვეყანა და ირანის მხრიდან და მათი დახმარების ფაქტად მიიჩნიეს . ამაში ირანს არამარტო საუდის არაბეთი, არამედ აშშ ც დებდა ბრალს და ამის გამო მოითხოვდნენ ირანის მკაცრ დასჯას . აშშ მ განაცხადა რომ მას აქვს სადაზვერო სამსახურების მიერ მოპოვებული ინფორმაცია რომლიდანაც მტკიცება, რომ საუდის არაბეთის ნავთობ საბადოები დაიბომბა ირანული დრონების მიერ .

[33] Lorenzo.V-ს, How real is the threat of returning IS fighters? BBC, October 23,2017.

აღნიშნული ფაქტები ირანმა კატეგორულად უარყო დაგანაცხადა რომ ამ მოვლენასთან არანაირი კავშირი არქონდა . ჰუთიები აცხადებდნენ რომ მათ დაბომბეს დრონებით ნავთობსაბადოები რომელიც საუდის არაბეთში იყო იმის გამო , რომ იემენის სამოქალაქო ომში საუდის არაბეთი მათ წინააღმდეგ იბრძვის.

დასკვნა

ისლამში ძალიან მალე ჩამოყალიბდა ალის ანუ შიიტთა პარტია , რომლის დოგმატიკაც მკვეთრად განსხვავდება ამ რელიგიის ძირითადი ორთოდოქსული მიმართულების სუნიზმისაგან. შიიტურ ისლამში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს იმამიტურ დოგმაგიკას, რომელიც ირანის სახელმწიფო რელიგიად იქცა XVI საუკუნიდან. XVI საუკუნიდან მოყოლებული შიიზმი დღემდე ამ ქვეყნის სახელმწიფო რელიგიაა, რაც განსაზღვრავს მის საგარეო პოლიტიკურ ვექტორს .

შიიტური სამღვდელოების გამოსვლა ირანის პოლიტიკურ ასპარეზზე საკმაოდ აქტუალური გახდა განსაკუთრებით, XIX საუკუნის დასასრულიდან. ამ პერიოდიდან მოყოლობული დღემდე შიიტური სამღვდელოება საკმაოდ აქტუალურია ამ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

შიიტური სამღვდელობა სერიოზულ გავლენას ახდენდა , ან ცდილობდა გავლენა მოეხდინა მონარქების გადაწყვეტილებებზე , რითაც თანდათანობით წინა პლანზე წამოიწივნენ და სერიოზულ ოპოზიციურ ძალად იქცნენ. რელიგიური ოპოზიცია ამ ქვეყანაში განსაკუთრებით გააქტიურდა გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან . ეს განაპირობა, მათმა უკმაყოფილებამ , როგორც ქვეყნის საშინაო პოლიტიკური კურსით , ასევე ფეჰლევების საგარეო პოლიტიკური კურსითაც. შიიტური სამღვდელოებისათვის არ იყო მისაღები გარე აქტორების დიდი დოზით ჩარევა ირანის პოლიტიკაში.

ისლამური რევულუციის შედეგად , ქვეყანაში დამკვიდრებული შიიტური რეჟიმი სერიოზულ პრობლემად იქცა, როგორც რეგიონის დანარჩენი ქვეყნების , ისე გარე რეგიონული აქტორებისათვის . აქედან გამომდინარე ქვეყანას ისლამური

რევოლუციიდან დღემდე სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას , რაც ძირითადად ამ ქყეყნის სახელმწიფო წყობიდან გამომდინარეობს.

ერთ-ერთ პრობლემას ამ ქვეყნისათვის ბირთვული პროგრამა წარმოადგენს , რომლის მუშაობაზე დაწყებაც ისლამურ რევულუციამდე მოხდა , მაგრამ მაშინ ეს პრობლემას არ წარმოადგენდა. ბირთვული პროგრამა სერიოზულ გამოწვევად და გადაულახავ წინააღმდეგობად იქცა ირანისათვის მას შემდეგ, რაც ამ ქვეყანაში ისლამური მმართველობა დამკვიდრდა. ის დღემდე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ამ ქვეყნისთვის.

ისლამური ირანის რეჟიმისათვის სერიოზულ გამოწვევად იქცა ბოლო წლებში ახლო აღმოსავლეთის რეგიონში განვითარებული პოლიტიკური კრიზისები . ეს ქვეყანა თითოეულ მათგანში აქტიურადაა ჩართული , ეს არის სირიის კრიზისი თუ სამოქალაქო ომი იემენში, ორივე ამ ქვეყნის პრობლემებში ირანი თავის სამხედრო ძალასაც იყენებს, ასევე ირანი თავის პოზიციას აფიქსირებს პალესტინა-ისრაელის კონფლიქტთან დაკავშირებით, და ასევე თავის პოზიციას მკაფიოდ აფიქსირებს იერუსალიმის პრობლემასთან დაკავშირებით.

ფაქტია , რომ ირანის სახელმწიფო წყობილება- შიიტური სამღვდელოების წინა პლანზე წამოწევა ირანის პოლიტიკაში მიუღებელია როგორც არარეგიონული ისე რეგიონის ყველა ქვეყნისათვის. აქედან გამომდინარე ირანის პრობლემაც ძირითადად მის სახელმწიფო წყობილებას უკავშირდება.

კვლევის შედეგად დასტურდება, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკა თავისი სახელმწიფო წყობილების განსხვავებულობის გამო მიუღებელია ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ქვეყნებისათვის , აქედან გამომდინარე , ის სერიოზულ პრობლემას ქმნის რეგიონის უსაფრთხოებისათვის. ამის მიზეზი ის არის , რომ ირანი ცდილობს თავისი გავლენის ქვეშ მოაქციოს ახლო აღმოსავლეთის , ის ქვეყნები , სადაც შიიტი მოსახლეობაა .

ბიბლიოგრაფია

1. გაჩეჩილაძე.რ,ახლო აღმოსავლეთი , ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, ტომი II, თბილისი, 2019.
2. კიკნაძე ო. ირანი, გამომცემლობა "მეცნიერება"თბილისი, 1979.
3. სანიკიძე გ. ალასანია გ. გელოვანი ნ. ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIX ს.- XXI ს. დასაწყისი)გამომცემლობა „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი", თბილისი 2011.
4. სანიკიძე.გ,შიიზმი და სახელმწიფო ირანში,გამომცემლობა"უნივერსალი" თბილისი 2005.
5. ჭიპაშვილი გ. ,,ირანის სახელმწიფო წყობილება" , გამომცემლობა"მეცნიერება. თბილისი 1989 .
6. ASHGAR Fathi, "Role of the traditional Leader in Modernization of Iran London 1890-1910.
7. Abrahamian Ervand. A History of Modern Iran. Cambridge University Press 2008 .
8. Bausanni.A "Religion under the Mongols, in Cambridge History of Iran , London ,2005.
9. Dwight M.Donaldson, The Shi'ite Religion , London, 1933.
10. Sivan E. , Interpretations of Islam, Past an Present.
11. Edmund Bosworth"Iran and Islam, Edinburgh.
12. Rodinson.M , L I'slam politique et croyance.
13. Persy Sykes, A History oF Persia, London.
14. Lewis.B , The Shi'a in Islamic History .
15. M.G.S. Hodgson, How did the early Shi'a Become sectarian? .
16. Arjomand S.A, "revolution" .
17. Sharif M.M., A History of Muslim Philosophy, Wiesbaden , 1966.
18. Ibn Khaldun, The Muqaddimah:An Introduction to History , New York, 1958.
19. Richard. Y., L'islam Chi'ite p 20
20. Abrahamian Ervand. A History of Modern Iran. Cambridge University Press 2008 .
21. Vidno Lorenzo. How real is the threat of returning IS fighters? BBC, October 23,2017.
22. mabon simon, "the battle for bahrain:iranian-saudi rivalry ". Middle east policy council, volume XlX number 2: https://www.mepc.org/battle-baharain-iranian-saudi-rivalry. .(ბოლოს გადამოწმებულია 31.05.2021)

23. https://www.radiotavisupleba.ge/a/29572863.html.(ბოლოს გადამოწმებულია 30.05.2021)
24. http://www.aviny.com/Voice/zhenev.aspx.(ბოლოს გადამოწმებულია 05.06.2021)